რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სამშაბათი, 4 ივლისი 1917 წ.

ერთობა

ფასი 10 კაპ.

„თანამედროვე აზრის" გაგრძელება.

ფასი გაზეთისა: მთელი წლით—20 მ., ნახევარი წლით—11 მან., 3 თვით 6 მან., ერთი თვით—2 მან. ცალკე ნომერი ყველგან 10 კაპ. და სადგურებზედაც ორ-ორი შაური. განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი—80 კაპ. მეოთხე გვერდზე—15 კაპ.; სამგლოვიარო განცხადება არა ნაკლებ 5 მანეთი [illegible] ორის შემდეგ—6 მანეთი. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ სტატიებს რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ почт. ящ. 199. Власію Малахіевичу Вохохадзе. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 ს-დე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პრ. № 12. (Тифлисъ Головинскій пр. № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 87 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. № 87

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგებო! შეგვაძენიეთ პარტიული სტამბა. პარტიას უნდა ქონდეს საკუთარი სტამბა.

ღრმა მწუხარებით გულ-მოკლულნი: მშობლები პელაგია და სიმონი, ცოლი სონია, რძალი მაშინე, და ოლღა, ძმები: ლუკა, მიხაკო, ვლადიმერი და ზაქარია კვაჭაძეები ძმის შვილი შალვა აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობებს და ამხანაგებს, რომ ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ კავკასიის ლაზარეთში ყუბანის ოლქში გარდაიცვალა საყვარელი და დაუვიწყარი პირველი კავკასიის ტრანსპორტის უფროსი უნტერ-ოფიცერი

ილიკო სიმონის ძე კვაჭაძე

რომლის გადმოსვენება ყუბანის ოლქიდან და დაკრძალვა დანიშნულია სამშობლო სოფელ ბახვში (გურია) 6 ივლისს, დღის 2 საათზე.

მწუხარებით გულდამწვარნი: ბიძა იერემია, ბიძის ცოლი გეგუტი, რძლები: მაკო და ანიკო, ბიძაშვილები: კონსტანტინე და ალექსანდრე. შვილები იმათი: სალომე, ნინო, გაბრიელი, გერმანე, ვანო და მიშო, აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობებს და ამხანაგებს, რომ ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ძვირფასი

ილიკო სიმონის ძე კვაჭაძე

რომლის დაკრძალვა დანიშნულია სოფელ ბახვში 6 ივლისს, დღის 2 საათზე.

სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის

ცენტრალური საარჩევნო კომიტეტი

მოთავსებულია „ერთობის" რედაქციის გვერდით. საქალაქო არჩევნების საქმეთა შესახებ მდივანი ცნობებს იძლევა დილის 10—1 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე.

შემოწირულება მუშ. დეპ. საოლქო ცენტრის სასარგებლოთ

მიიღება სასახლეში, სპარსულ ზალაში დილ. 10—2 ს. და საღ. 6—9 ს.

მეორე სამილიციო უბანში

მეორე კომერციულ სასწავლებელში არსებობს რ. ს. დ. მ. პ. მეორე პოდრაიონის ბიურო, გონჩარნი ქუჩა № 88. ღიაა მუდამ დღე საღამოს 10 საათამდე. აქვე შეიძლება ახალი წევრების მიღება და იყიდება ბროშიურები—თფილისის და საოლქო კომიტეტის გამოცემანი, არსებობს სამკითხველო, რომლითაც შეუძლია ისარგებლოს ყველა ამხანაგებმა.

თავმჯდომარე გ. თევდორაშვილი.

შაქარი

ვინაიდგან მთელი მხარე მწვავედ განიცდის შაქრის ნაკლებლობას, ამისთვის სახელმწიფო სასურსათო კომიტეტმა განკარგულება მოახდინა 1-ლ ივლისიდან შაქრის წილის შემცირების შესახებ. ხსენებულ რიცხვიდან თვითეული სული თვეში მიიღებს მხოლოდ 1 ნახ. გირ. შაქარს.

აცნობებს რა ამას ქ. თფილისის მცხოვრებლებს, ქალ. სასურსათო კომიტეტი ამასთანავე აცხადებს მოქალაქეთა საყურადღებოთ, რომ ქ. თფილისისათვის დანიშნული შაქარი ქალაქს დღემდეც არ მიუღია, ის ჯერ კიდევ გზაშია, რის გამო მთელ თფილისის მცხოვრებლებს არ ექმნებათ საშუალება მიიღონ თავიანთი ივლისის წილი.

ქ. დუქნებში დარჩენილი შაქარი მიეცემა მცხოვრებთ ივლისისათვის ახალი ნორმით ე. ი. 1 ნახ. გირ. სულზე; ხოლო ვისაც ჯერ კიდევ გასულ ივნისის წილის მიღება ვერ მოუსწრია, იმათ მიეცემათ ორ-ორი გირვანქა ნახევარი.

შაქრის მიცემა ივლისისათვის დაიწყო ორშაბათიდან, 3 ივლისიდან.

თფილ. ქალ. სასურსათო კომიტეტი.

ქუთაისი

ექიმი გ. ი. გოკიელი

ელექტრონისა და სინათლის სამკურნალო კაბინეტი, შინაგანი ნერვებისა და ვენერიული ავადმყოფთათვის, ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და სა 6—8 ს. საათამდე

ექიმი კ. ი. გვარჯალაძე

შინაგან და ბავშვთა სნეულებათა ავადმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა.

[illegible] ქუჩა, № 4, სასტუმრო [illegible]. ტელეფ. 15—00.

ექიმი მ. გ. ჰეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 8—6 ნახ. საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, [illegible] ქუჩა, № 19.

ექიმი გ. მ. მუხაძე

იღებს [illegible] ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; თფილისის ეკონომიური საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

ქ. ქუთაისში.

ექიმი მ. ი. ჩხენკელი

იღებს ბავშვთა და შინაგანი სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე, დილის 9 საათიდან—1 საათ. საღამოს 5—8 საათ. ქუთაისი, ბალახვანის ქ., ბაქრაძის სახლი.

ქუთაისი

ექიმი **ვალერიან ლორთქიფანიძე**

იღებს შინაგან, ბავშვთა და ნერვების სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე. დილის 11—2 საათამდის, საღამოს 7—9 საათამდი. პუშკინის ქუჩა, ვიტუშინსკის სახლში.

თფილ. ორგან. რ. ს. დ. მ. პ. ბიუროები

მოთავსებულია:

1) პირველი რაიონი: ნაძალადევში, ბოტის სახლში, ღიაა დილის 10—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.

2) მეორე რაიონი: სახალხო სახლი. ღიაა დილის 10—2 საათამდე და საღ. 5—8 საათ.

3) მესამე რაიონი: ავლაბრის კლუბში, (კახეთის ქუჩა № 1), ღიაა საღამოს 5—7 საათ.

4) მეოთხე რაიონი: ქალთა პირველი გიმნაზია, (ლორის მელიქოვის ქუჩ.) ღიაა 10—3 და 5—7 საათამდე.

ბიურო

თფილისის კომიტ. რ. ს. დ. მ. პ. მოთავსებულია გოლოვინ. პროსპ. № 12. ღიაა დილის 9—2 საათ. საღამ. 5—8 საათამდე.

ბიურო

ალექსანდროპოლის კომიტეტისა რუს. ს.-დ. მუშათა პარტიისა მოთავსებულია მუშათა საბჭოს ბინაზე ალექსანდროპოლის ვაგზალთან. ბიურო ღიაა დილის 10—12 ს. და საღამოს 4—6 საათამდე. აქვე მიიღება ახალი წევრები.

კავკასიის მუშათა და გლეხთა საბჭოების ცენტრის კანცელარია მოთავსებულია სასახლეში (სპარსულ დარბაზში).

კანცელარია ღიაა დილის 10—2 ს. და საღ. 6—8 ს.

საოლქო კომიტეტის გამოცემანი.

(საოლქო კომიტეტის ბიურო, გოლოვინის პროსპ. № 12).

1. ს. დ. პ. პროგრამა ქართულად	10 კ.
2. ს. დ. პ. პროგრამა რუსულად	10 „
3. ს. დ. პროგრამა სომხურად	10 „
4. ს. დ. პროგრამა თათრულად	10 „
5. მუნიციპალური პროგრამა რუს.	5 „
6. მუნიციპალური პროგრამა ქართ.	5 „
7. ძირს სოც. დემ. ზრაკინა რუს.	20 „
8. სოც. დემ. და ქალაქის თვითმართველობა ქართულად	20 „
9. [illegible] ქართულად	20 „
10. ოთხი ძმა ქართულად	35 „
11. კომუნისტური მანიფესტი რუს.	20 „
12. კომუნისტური მანიფესტი ქარ.	25 „
13 დემოკრატიული რესპუბლიკა ქარ.	25 „
14. დამფუძნებელი კრება რუსულ.	25 „
15. ნ. ჟორდანია—ნაც. კითხვა ქართ.	30 „

იბეჭდება და მალე გამოვა:

1. რა უნდათ სოციალ-დემოკრ. რუსულად.
2. დამფუძნებელი კრება თათრულად.
3. საფრანგეთის ისტ. 1848 წ. ნ. ჟორდანიასი.

მორიგი საქმე.

17 სექტემბერს დამფუძნებელი კრების დეპუტატთა არჩევნები მოხდება. საჭიროა დიდი სიჩქარე და ენერგიული მუშაობა, რომ არჩევნები ვადაზე მოესწროს და ამიერ კავკასიამ თავიდანვე მიიღოს დამფუძნებელ კრებაში მონაწილეობა.

აქ პირველ რიგში დგას საარჩევნო ფონდის შექმნა. არჩევნები მუდამ დიდ თანხას მოითხოვს, ეს განსაკუთრებით უნდა ითქვას ამ ჟამით, როცა ყველაფერი მეტად გაძვირდა, განსაკუთრებით საწერი და საბეჭდავი მასალა, რაც აუცილებელია ფართო საგიტაციო მუშაობისათვის. არჩევნების შედეგი ბევრში სწორედ საარჩევნო ფონდზე იქნება დამოკიდებული. ორგანიზაცია მდიდარი ამ მხრივ ადვილად შესძლებს თვით მიყრუებული კუთხეების მცხოვრებთაც თავისი პროგრამა გააცნოს და ისინი მიიმხროს. ამ მხრივ ბურჟუაზია ყოველთვის ხელსაყრელ პირობებში იმყოფება. აკი ყველგან ლაპარაკობენ, რომ ნაციონალისტურმა პარტიებმა დიდძალი თანხა მიიღეს განსაკუთრებით სომხის პლუტოკრატიისაგანო.

მხოლოდ მუშათა პარტია თავის ძალღონეზე მიტოვებული. მისი ძალა თვით მუშათა კლასი და გლეხკაცობაა. მხოლოდ ამ წრეებს ძალუძთ სოციალ-დემოკრატიას მისცენ საშუალება საარჩევნო კამპანია პრწყინვალეთ ჩაატაროს და დამფუძნებელ კრებაში ხალხის ერთგული და ჭეშმარიტი დამცველნი გაგზავნოს.

ამ გარემოებას ახლავე უნდა მიაქციონ ამხანაგებმა ჯეროვანი ყურადღება. ჩვენ გავიმარჯვებთ, თუ მდიდარი საარჩევნო ფონდი შევქმენით, და დავმარცხდებით, თუ დემოკრატიამ ეს მხარე უყურადღებოთ დასტოვა. პარტიულმა ყრილობამ ამ კითხვაზე კონკრეტული დადგენილება უკვე გამოიტანა. მან წინადადებით მიმართა ადგილობრივ ორგანიზაციებს დაუყონებლივ შეუდგნენ საარჩევნო ფონდის შედგენას. ჩვენც ამ მხარეზე ვუთითებთ ადგილობრივ ამხანაგებს. სულ ორი თვენახევარი დარჩა არჩევნებამდე, ხოლო თვით საარჩევნო კამპანია ზოგიერთმა პარტიებმა უკვე დაიწყეს. ეს მათ ადვილად შეუძლიათ, ვინაიდგან ფინანსიურათ საკმაოდ უზრუნველყოფილი არიან. საჭიროა მთელი ძალღონით საარჩევნო ფონდის შეგროვების ზომების მიღება. დიახ, ყველა ადგილობრივმა ორგანიზაციამ ეს საქმე თავის უპირველეს მოვალეობათ იცნოს, გადადვან ამ მიზნით ხელფასის განსაზღვრული ნაწილი, გამართონ ლექციები და საღამოები, გამოიყენონ ყოველი შემთხვევა მდიდარი საარჩევნო ფონდის შესაქმნელათ და მით სოციალ-დემოკრატიის არჩევნებზე გამარჯვების უზრუნველყოფით.

იჩქარეთ! ყოველი წუთი ძვირფასია. მთელი ძალღონით ეცადეთ საარჩევნო ფონდის გაძლიერებას.

ხელშეკრულობათა გადასინჯვა.

საიდუმლო ხელშეკრულობათა გადასინჯვის ხანა დაიწყო.

რუსეთის დიდი რევოლუციის ზეგავლენით დასავლეთ ევროპის შეთანხმების სახელმწიფოები იძულებულნი არიან რუსეთის რევოლუციონური მთავრობის წინადადებას—დიპლომატიური ხელშეკრულობის გადასინჯვის შესახებ ანგარიში გაუწიონ, საიდუმლო დიპლომატიურ მიწერ-მოწერასა და ხელშეკრულებას ფარდა ახადონ და იგი ფართო დემოკრატიისათვის გასაგები გახადონ.

ოფიციალური ცნობით ინგლისის თემთა პალატაში დიდი ბრიტანიის საგარეო საქმეთა მინისტრის თანაშემწე ლორდმა რობერტ სესილმა საქვეყნოთ განაცხადა, რომ ინგლისის მთავრობამ რუსეთის დროებით მთავრობას უკვე შეატყობინა, რომ ჩვენ მზათ ვართ საიდუმლო დიპლომატიური ხელშეკრულობა გადავსინჯოთ და ამის შესახებ მსჯელობა ვიქონიოთ.

მიუხედავათ იმისა, რომ მსოფლიო ომი გრძელდება მიუხედავათ იმისა, რომ მეომარი სახელმწიფოები ერთი-მეორეს ანადგურებენ და მთელ კაცობრიობის ეკონომიურსა და კულტურულ მდგომარეობას ანადგურებენ და საერთაშორისო დემოკრატიის მისწრაფებას ძირს უთხრიან, მაინც რუსეთის დემოკრატიის რევოლუციონური მოძრაობის ზეგავლენით ინგლისის იმპერიალისტები იძულებული ხდებიან დემოკრატიულ მოთხოვნას ანგარიში გაუწიონ დიპლომატიური ხელშეკრულობების გადასინჯვაზე დასთანხმდნენ.

ძლიერია საერთაშორისო დემოკრატიის ხმა, ძლიერია მისი სამართლიანი მოთხოვნა. საერთაშორისო დემოკრატიის იდეოლოგები, მათი ინტერესების საუკეთესო დამცველი კარლ-მარქსი დიდი ხანია მუშათა კლასს მოუწოდებდა, რომ მათ თავთავიანთ სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკისთვის თვალყური ედევნებიათ, საიდუმლო ხელშეკრულობის გადასინჯვა მოეთხოვათ და ამ გზით გამოექვეყნებინათ იმპერიალისტური კლასების ის დამღუპველი პოლიტიკა, რომელიც მუდამ და ყოველთვის მსოფლიო ომის წარმოშობას აჩქარებდნენ და მას ერთგვარათ ნიადაგს უმზადებდნენ.

თითოეული სახელმწიფოს გაბატონებული კლასები მეორე სახელმწიფოს გაბატონებულ კლასის მთავრობასთან საიდუმლო ხელშეკრულობას კრავდნენ, ალიანს კავშირებს აწყობდნენ და ამ გზით ცდილობდნენ თავიანთ ბაზრების გაფართოებას, ახალ ქვეყნების დაპყრობას. საიდუმლო ხელშეკრულობით შეკავშირებული სახელმწიფოები დადებულ პირობების მიხედვით ირაზმებოდნენ, სამხედრო ძალას ანვითარებდნენ, ციხე-სიმაგრეებს აგებდნენ და ელოდენ მომენტს, როცა მათ თავიანთ ფულადი ინტერესები სისრულეში უნდა მოეყვანათ. საიდუმლო ხელშეკრულობის მიხედვით სხვადასხვა სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკა განსაზღვრულ მიმართულებით მიდიოდა.

ასეთმა საიდუმლო ხელშეკრულებამ მთელი ევროპის და საზოგადოთ მთელი კულტურული სახელმწიფოები ორ ერთი-მეორის საწინააღმდეგო ბანაკათ გაყო. ერთი მხრივ წარმოიშვა ცენტრალური სახელმწიფოების და მეორე მხრივ შეთანხმების სახელმწიფოების კავშირი და ამ ამათ შორის დაიწყო მსოფლიო ომი, რომლის მოწმენიც აქამდეთ ჩვენ ვართ.

მაგრამ ისევე კავშირი საერთაშორისო დემოკრატიის დამღუპველ შეთქმულობათ გადაიქცა და მთელი ქვეყნის დემოკრატია მის რკინის სალტეებში იწურება. ახლა სიტყვა დემოკრატიის ეკუთვნოდა, და როგორც ვიცით რუსეთის დიდი რევოლუციის მეოხებით საერთაშორისო დემოკრატიამ ძალა მოიკრიბა, ორგანიზაციულათ გაძლიერდა და იგი მედგრათ შეუდგა იმპერიალისტების პოლიტიკის ლიკვიდაციას. ნაბიჯი უკვე გადადგმულია. საერთაშორისო დემოკრატიამ რუსეთის დემოკრატიის ზეგავლენით ომის ლიკვიდაციისათვის ინტერნაციონალური სოციალისტური სამშვიდობო კონფერენციის მოწვევას შეუდგა, ამასთანავე რუსეთის დროებითმა რევოლუციონურმა მთავრობამ შეთანხმების სახელმწიფოების საიდუმლო დიპლომატიური ხელშეკრულობის გადასინჯვა მოითხოვა და ამაზე მეომარი სახელმწიფოს უდიდესი და უძლიერესი მონაწილე ინგლისი დაითანხმა. დაითანხმა აგრეთვე, რომ შეთანხმების სახელმწიფოების სოციალისტები სტოკჰოლმის კონფერენციაზე დაესწრონ და მით შეერთებული ძალით საბოლოოთ ბოლო მოუღონ არსებულ იმპერიალისტურ ომს, რომელმაც მთელი ქვეყნის დემოკრატია ერთი-მეორეს გათიშა და ერთი მეორის საწინააღმდეგო ბრძოლაში ჩაითრია, დადგა დრო იმპერიალისტური პოლიტიკის დასასრულის და საიდუმლო პოლიტიკის გაუქმების. საერთაშორისო დემოკრატიის ძლიერ მოძრაობას ვეღარ შეაჩერებს ბურჟუაზიული სახელმწიფოების იმპერიალისტები და ომის დღეებიც დათვლილია.

პრესა.

დაშნაკელთა „ორიზონი" არ ცხრება. ის გლეხთა ყრილობის გარშემო ტრიალებს. ზევრი ცილისწამებისა და ათასნაირი ბრალდებათა წამოყენების შემდეგ სოც.-დემ. მეთაურთადმი ის კითხვას სვამს, თუ როგორ მოხდა, რომ სოც.-დემოკრატებს მხარი დაუჭირეს თათრის გლეხებმა, ბეგებმა, ბალადარებმა და სხ. „ორიზონი" სწერს:

„რა საერთო უნდა ჰქონოდა სოციალ-დემოკრატიას ბეგობასთან, რა პირობებით მორიგებას უნდა გამოეწვია ამ ორი ანტიპოდი ელემენტის გულის წადილები მოყვრობა, და ყველა ეს აგვირგვინონ სოლიდარობისა, რევოლუციისა და ინტერნაციონალის სახელით მჭევრად მეტყველმა ქართველმა სოციალდემოკრატებმა".

ეს სურს გაიგოს „ორიზონმა"? მან საკამათო ფონდებს მიმართოს, თორემ თითონაც კარგათ იცის, რა იყო საერთო. აბა, მოიგონოს მან 1905 წელი! სომხ-თათართა ხოცვა-ჟლეტას, პროვოკაციით გამოწვეულს, ვინ აღვივებდა-აცხოველებდა? „ორიზონი"-ს დაშნაკელები! ვინ მუშაობდა ამ ცეცხლის ჩასაქრობათ? სოციალ დემოკრატია, სადაც ქართველები საგრძნობ ძალას შეადგენენ. აბა, მოიგონოს „ორიზონმა" 1905 წ. რა ამბები ხდებოდა თფილისში თათრების მაიდანზე? ერთს მხარეზე თათრები იდგნენ შეიარაღებულნი, მეორე მხარეზე დაშნაკელები თავიდან ფეხებამდე შეიარაღებული „ზინვორებით" და იღვრებოდა ძმათა სისხლი და სწორედ აქ იყო თქვენ მიერ [illegible] ნოე ჟორდანია, რომელმაც თქვენი თქმით, გლეხთა ყრილობაზე „ისეთ მგზნებარე და არა კეთილშობილურ საშუალებას მიმართა" და სხ. სწორედ ეს ნოე ჟორდანია კინაღამ იმსხვერპლა იქ ტყვიამ. ის ცდილობდა იმ ცეცხლის ჩაქრობას, რომელსაც თქვენ ბატონნო დაშნაკელებო, აჩაღებდით, მაზე ნავთს ასხამდით—გულ უბრყვილოთა მოსატყუებლათ კი გაიძახოდით თქვენ და თქვენი „ზინვორები": თავს ვიცავთ თათრებისაგანო. განა ეს არ ახსოვს თათრის გლეხობას? განა ეს არ ახსოვს თქვენ მიერ ნაციონალიზმით და შოვინიზმით გაბრუებულ სომხის გლეხს, რომელიც ახლა ერკვევა ცოტათი? ამის შემდეგ ცხადია: იმიტომ უჭერდა თათრობა სოც.-დემოკრატიას და ჟორდანიას მხარს, რომ ის სოციალ-დემოკრატებში ხედავდა ერთა შორის სოლიდარობის, ძმობის ჭეშმარიტ მქადაგებელთა და მომუშავეთ. თქვენ ეხლა ისე რიხით სწერთ:

საერთაშორისო ომი

დასავლეთის ასპარეზზე ბრძოლა კვლავ მდ ლომნიცის რაიონში სწარმოებს. აქ რუსის ჯარმა რამდენიმე სოფელი დაიკავა და ბევრი სამხედრო ტყვეები წამოიყვანა. დასახელებულ რაიონში საერთო იერიშები ცუდი ამინდების გამო დროებით ჩერდება.

კავკასია რუმინიის ფრონტზე ღირს-შესანიშნავი არაფერი მომხდარა.

საფრანგეთის ფრონტზე გერმანელებმა მდ მაასის რაიონში საარტილერიო სროლა განაცხოველეს — განსაკუთრებით რეიმსის რაიონში; აქ ქალაქის განაპირა ადგილებში გერმანიის არტილერიამ 1 600 ყუმბარა გადაისროლა.

ინგლისის ფრონტზე ჩვეულებრივი სროლაა. ასეთივე ჩვეულებრივი სროლაა იტალია-ავსტრიის ფრონტზე.

„განსაკუთრებით დიდი წადილი ჰქონდა ყველას სოლიდარულად და თანხმობით, ემუშავათ. ყრილობას ბოლო უნდა მოეღო ურთიერთ გაუგებრობისათვის, შეესუსტებინა ეროვნული წინააღმდეგობანი და შეექმნა საშვალებანი, რათა თანდათან მეგობრობისა და ძმობის გრძნობით ამოევსო მეზობელ ერთა შუღლის უფსკრული, რომელმაც ამდენი უბედურება დაატეხა თავს კავკასიაში მოსახლე ერებს“.

დაშნაკელების პარტია და ერთა სოლიდარული მუშაობა!.. განა შეიძლება ამის სინამდვილეში წარმოდგენა?!

გლეხთა ყრილობა სწორეთ იმ გზით მიდიოდა, რომ ბოლო მოეღო ურთიერთ გაუგებრობისათვის, ეროვნული შუღლისთვის, მაგრამ ამ გზაზე სიარულს დაშნაკელები ხელს უშლიდენ. ახლა სწერენ:

„რასაც ყრილობაზე ჟორდანია აშკარათ შვრებოდა, ხოლო ფარდის უკან ჯაფაროვი, ყველა ამას შეუძლია მხოლოდ ზიზღი მოჰგვაროს ყოველ სპეტაკს, ღირსებისა და პატიოსნების პატრონ მოღვაწეს“.

ახლა ასე სწერენ ჯაფაროვზე დაშნაკელები. როცა ჟორდანიას კანდიდატურა იქნა წამოყენებული სათავმჯდომაროდ, მაშინ დაშნაკელებმა, ამ „სპეტაკი ღირსების და პატიოსნების“ ხალხმა, ჯაფაროვის კანდიდატურა წამოაყენეს, რომ არევ-დარევა და ეროვნული შუღლი გამოეწვიათ.

დასასრულ არ შეგვიძლია ერთი „საუცხოვო“ ადგილიც არ მოვიყვანოთ ორიზონიდან. ეს შემდეგია:

„და ამ ალმაშფოთებელი, უთვალავი ძალმომრეობისა, თვითნებობისა, ბოროტებისა, საზოგადოებრივი წესრიგიანობის სულ უბრალო მოთხოვნილების ფეხქვეშ გათელვის სათავე და მიზეზი მიწის საკითხის კენჭის ყრა იყო, სადაც სოციალ-დემოკრატიული ქცევის ყველა სიმშვენიერე გამოჩნდა, ყველა მოტყუება-მოღორების საშუალება გამომზეურდა, რომ სოციალ დემოკრატების ფორმულას როგორმე უმრავლესობა შემოეკრიბა თავის გარშემო.“

(ამ წერილის დაწერის დროს „სახალხო გაზეთის“ თარგმანით ვსარგებლობდით).

ამ ამონაწერის წაკითხვის შემდეგ კითხვა იბადება: სად იმყოფება „ორიზონი“, როცა ამას სწერს—სადმე უდაბნოში, თუ თფილისში, ან იქნება სინდისთან, ნამუსთან მწყრალით ბრძანდება?

პასუხად ამხ. ლეო ქიაჩელს.

ამხ. ლ. ქიაჩელს ერთი საყვედურით უნდა მივმართო: საინტერესო პოლემიკაში რათ ურევს საკითხებს, რომლებსაც არავითარი კავშირი არა აქვს პოლემიკის საგანთან? რათ და რად, მაგ., აღნიშვნა იმ წინააღმდეგობისა, რომელშიც მე ვითომ ჩავარდი იმით, რომ ჯერ ნ. ჟორდანიას პროექტის წინააღმდეგ გამოველ, კენჭის ყრის წინ კი კრებას ვურჩიე, ნ. ჟორდანიას პროგრამა ერთხმათ მიეღოთ! რათ მაიძულებს ამხანაგი იმაზე ლაპარაკს, რასაც არავითარი კავშირი ჩვენ კამათთან არა აქვს? მაგრამ რადგანაც ამავე ფაქტს აღნიშნავს (უფრო ბოროტ ინსინუაციის მიზნით) ჩემი მეორე მოწინააღმდეგე პ. საყვარელიძე, იძულებული ვარ შევეხო ამ საგანს.

ნ. ჟორდანიას პროექტს მე, როგორც განვაცხადე, ზოგიერთ რამეში არ ვეთანხმები, მაგრამ მაინც წინადადება შევიტანე, რომ პროექტი ერთხმათ იყოს მიღებული; მე ვხელმძღვანელობდი პარტიის ინტერესებით: მე მინდოდა, რომ სიეზდზე მომხდარიყო ერთნაირი დემონსტრაცია პარტიის ერთსულოვნობისა; ეს, ჩემის აზრით, ძალიან საჭირო იყო: ამხ. ლ. ქიაჩელი რომ ისე ახლო გასცნობოდა ყრილობის სულიერ განწყობილებას, როგორც მე გავეცანი ისიც დამეთანხმებოდა, რომ ეს საჭირო იყო, რადგან პარტიულ ყრილობაზე თვალწინ დაგვიდგა, ერთი უსიამოვნობა, რომლის თავიდან აცილება იყო საჭირო.

გარდა ამისა, რა უფლებით მიკიჟინებენ „ალიონისტები“ ულოღიკობას? თუ ჩემის მხრით ულოღიკობაა ჯერ კრიტიკა, შემდეგ ხმის მიცემა, „ალიონისტებმაც“ ხომ სწორეთ ამნაირი ულოღიკობა ჩაიდინეს: ჯერ დაიწუნეს ნ. ჟორდანიას პროექტი მერე ხმა მისცეს მას? განსხვავება ჩემსა და „ალიონისტებს“ შუა მხოლოდ ის არის, რომ მათი კრიტიკა უფრო ცხარე იყო ვიდრე ჩემი, ამიტომ მათი „ულოღიკობაც“ უფრო დიდი ყოფილა, ვიდრე ჩემი! ნუ თუ ამაზე ლაპარაკი ღირს?

გადავიდეთ კამათის საგანზე. ჩემდა სამწუხაროდ, ჩემი იმედი, ჩემს წერილში გამოთქმული არ გამართლდა: ჩემი წერილის ზოგიერთი დებულებანი ამხ. ლ. ქიაჩელს მაინც ისე ვერ გაუგია, როგორც საჭირო იყო. მიუხედავათ ჩემის გაფრთხილებისა, ამხანაგს ისე გაუგია, ვითომც მე მგონებოდეს, „სიტყვა ქართველის“ ხსენება საქართველოში ინტერნაციონალ ს.-დ—ის მიერ საფათერაკო და სახიფათოა“; მას ისე გაუგია, ვითომც მე უარვყოფდე, რომ ნაციონალურ კითხვის დროს ჩვენ „უნდა შევეხოთ თითოეულ ერის ეროვნულ საკითხს“. არა ამხანაგო, ეგ მე არ მითქვამს: მე ვლაპარაკობდი მხოლოდ საქართველოს საკითხის გამოყოფაზე და მაზე ცალკე, განსაკუთრებით ზრუნვაზე: რომ „ალიონის“ მე 13 ნომერში კითხვა ასე იყო დაყენებული, ამის წინააღმდეგ ვერაფერს მეტყვით ვერც თქვენ, პატივცემულო ამხანაგო, ვერც თქვენი გაზეთის რედაქტორი პ. საყვარელიძე, რასაც რომ ილაპარაკოს და რაც გინდა არა ამხანაგურათ შეკამათოს, როგორც იგი იქცევა.*) მაგრამ პ. საყვარელიძესთან კიდევ სხვანაირი საუბარი მექნება, როცა იგი თავის გამოლაშქრებას გაათავებს და ლანძღვის ლექსიკონს ძირამდის ამოსცლის.

უფრო სერიოზული საგანია „უფლება-მოსილების“ საკითხი. ამხანაგ ლ. ქიაჩელს რომ ეს სიტყვა ისე წამოსცდენოდა, როგორც ამას ამხ. პ. საყვარელიძე ხსნიდა, ეს სიტყვა უბრალო „ბელეტრისტულ ნაწარმოებში“ რომ ხმარებულიყო, მაზედ ბევრს არ ვილაპარაკებდი: მაგრამ საქმეც ის არის, რომ ავტორი ამ სიტყვას შეგნებულათ ხმარობს და საპასუხო წერილშიც იმეორებს: „რათ უნდა გაიკვირვოს სოციალისტმა, დემოკრატმა და რევოლიუციონერმა, რომ აღიარო სუვერენობა ქართველი ხალხისა შინაურ საქმეებში?“ ბოდიშს ვიხდი, ამხანაგო, მაგრამ რაკი ჩემს გულწრფელობას ისე აღტაცებაში მოუყვანიხართ, მე წავთამამდები და გულწრფელათვე გეტყვით: თქვენ ან არ იცით, რას ნიშნავს სიტყვა „სუვერენიტეტი“, ან საქართველოსთვის შეუძლებელი რაღაც გინდათ.

პ. საყვარელიძის სალანძღავ წერილების ბეჭვდას არ სჯობდა, რომ თვით ამხ. ლ. ქიაჩელი შეხებოდა იმ დიდ საკითხს უფრო ვრცლათ, როგორც უფრო ზრდილი, კულტურული და ამხანაგურ კილოს მცოდნე მწერალი. იძულებული ვარ მე თვით განვმარტო, რას ნიშნავს „სუვერენიტეტი“.

ჩემს მაგიდაზე დევს იელლინეკის წიგნი: „Общее ученіе о государствѣ“. სუვერენიტეტს იგი ასე განმარტავს: „სუვერენიტეტი ნიშნავს შეუძლებლობას, რომ იურიდიულათ შეგზღუდონ, შენის ნების წინააღმდეგ რაიმე ძალა უფლებით, სულ ერთია, სახელმწიფოებრივი იქნება იგი, თუ არა“. (317) სუვერენიტეტი სახელმწიფოებრივ ძალა უფლებაზე კიდევ მეტია: ყველა სახელმწიფო არ არის სუვერენული, მაგ. შვეიცარიის კანტონები, ან ამერიკის ცალკე შტატები სახელმწიფოები არიან, მაგრამ სუვერენიტეტი არა აქვთ. თუ თქვენ საქართველოსთვის სუვერენიტეტი გინდათ, თქვენ ყველა ქართველ შოვინისტზე შორს წასულხართ, რადგან ეს აშკარა სეპარატიზმია. ნუ კი გეგონებათ, რომ ამ სიტყვას ისევე შესაშინებლათ ვხმარობდე, როგორც ამხ. პ. საყვარელიძე „ნიჰილისტს“. არა, მეცნიერულ საბუთების თანახმათ მოგახსენებთ: საქართველოს სუვერენიტეტის აღიარება ნიშნავს საქართველოს სრულს გამოყოფას სრულიად დამოუკიდებელ სახელმწიფოდ; მე ვიცი ამხანაგო, ლ. ქიაჩელო, სეპარატისტი თქვენ არა ხართ, ამიტომ თქვენ უკან უნდა წაიღოთ თქვენი სიტყვა „უფლება-მოსილობის“ შესახებ.

რაკი ამაზე ჩამოვარდა ლაპარაკი, აღვნიშნავთ „ალიონის“ მიერ წამოყენებულ პროგრამის ერთს არევ-დარევას. „საერთო დებულებათა“ ბოლოში ვკითხულობთ:

„საქართველოს ავტონომიის პოლიტიკური ფორმა: დემოკრატიული რესპუბლიკა პარლამენტარიზმით, რეფერენდუმით და ინიციატივით და სხვ.“.

„ალიონის“ მწერლებს რომ უკეთ სცოდნოდათ სახელმწიფო უფლება, მათთვის ცხადი იქნებოდა შემდეგი ჭეშმარიტება: „პოლიტიკურ ფორმაზე“ ლაპარაკი შეიძლება იქ, სადაც საქმე გაქვთ ნამდვილ სახელმწიფოსთან, თუნდაც ეს სახელმწიფო არ იყოს სუვერენული. იგივე იელინეკი ამბობს: „ვიურტემბერგი და ბადენი—მონარქიებია, ჰამბურგი, ბერნი, პენსილვანია—რესპუბლიკებია; პირიქით ელზას ლოტარინგია არც ერთს ამ მთავარ კატეგორიებში არ მოთავსდება“ (326). არც ერთი ავტონომია არ არკვევს თავის სახელმწიფო ფორმას, თუ იგი ნამდვილი სახელმწიფო არ არის. თუ „ალიონი“ „საქართველოლებზედაც“ კი შორს არ მიდის, ამისთანა არევ დარევას უნდა ერიდოს.

თუ რამდენათ აქვს ამხ. ლ. ქიაჩელს ძვალ-რბილში გამჯდარი ეს სურვილი, რომ საქართველო უფლებამოსილი იყოს, ეს აშკარა ხდება მის შეხედულებიდან მიწის საკითხზე: აი როგორ მსჯელობს ამხანაგი:

„თუ ვიტყვით, მაგ. აგრარული კითხვა რუსეთში მხოლოდ რუსეთის ხალხის საქმეა და სხვისი არავისი, ინტერნაციონალიზმს არა ვღალატობთ; მაგრამ როგორც კი ვიტყვით: აგრარული კითხვა ჩვენში მხოლოდ ჩვენი საქმეა და სხვისი არავისი,—უთუოდ ვცოდავთ ინტერნაციონალიზმს“.

ამ სიტყვების წაკითხვამ უნდა კიდევ ერთხელ დაარწმუნოს მკითხველი, რომ „ალიონისტების“ „უფლებამოსილება“ სუვერენიტეტი მარტო წამოცდენილი სიტყვა კი არ არის, ისინი საქმითაც ახორციელებენ მას, თუმცა იმედია, შეუგნებლად. „აგრარული კითხვა რუსეთში რუსეთის ხალხის საქმეა“, ეს ჭეშმარიტება თუ არ არის, სასურველია, უნდა ვეცადოთ, რომ ეს ჭეშმარიტებათ ვაქციოთ, რადგან აგრარული საკითხის გადაწყვეტა „რუსეთის ხალხის საქმეთ“ მხოლოდ მაშინ გადიქცევა, როდესაც რუსეთის ხალხი, დამფუძნებელ კრების სახით, სუვერენი, უფლება მოსილი გახდება. აგრეთვე „აგრარული კითხვა ჩვენში (ე. ი. საქართველოს ავტონომიაში არ ?) მხოლოდ ჩვენს (ე. ი. ქართველების?) საქმეთ იმ შემთხვევაში გადიქცევა, თუ ჩვენი ერი სუვერენი გახდება. წინააღმდეგ შემთხვევაში იმ ძალას, რომელიც სუვერენი იქნება, აუცილებლათ ექნება უფლება ჩაერიოს საქართველოს მიწის საკითხში. პირდაპირ სთქვას „ალიონმა“, სიტყვა „სუვერენის“ ზემოთ განმარტების შემდეგ მაინც მიისწრაფის იგი საქართველოს სუვერენობისაკენ? დარწმუნებული ვართ, არ მიისწრაფის, ამიტომ ამხ. ლ. ქიაჩელმა ამ ფრაზაზედაც ხელი უნდა აიღოს.

როგორც ხედავს ამხ. ლ. ქიაჩელი, „ლოღიკის და აზრის საზომით გაზომვა“ მეც მყვარებია. მას მოსწონს ჩემი გულწრფელობა, იმედია მომბაძავს ამაში და პირდაპირ განაცხადებს, რომ მისი „საქართველოს უფლებამოსილების“ თეორია პირდაპირის გზით მიდის სეპარატიზმისაკენ; თუ იგი ამას განაცხადებს, ორში ერთი უნდა აირჩიოს: ან „უფლებამოსილებაზე“ და მასთან ერთად სეპარატიზმზე უნდა აიღოს ხელი, ან აღიაროს საქართველოს ავტონომია კი არა, ცალკე სახელმწიფოთ გამოყოფა მინდაო.

მესამე გზა არ არის.

ლ. ნათაძე.

---

*) ყოველ უსიამოვნების თავიდან ასაცილებლათ აქვე უნდა აღვიარო ერთი სამწუხარო შეცდომა: ერთს ამ ამონაწერში მართლაც გამომრჩენია სიტყვა „საერთაშორისო ინტერესთან“; ეს ციტატა ჩემი აზრის დასამტკიცებლათ მართლაც არ ვარგა. მაგრამ საქმე ამით სრულებით არ იცვლება, რადგან ოც ციტატაში რომ ერთი ურიგო იყოს, ამით რა შეიცვლება.

დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგ. 2—3 ივლისი).

ცირკულიარული ცნობა.

პეტროგრადი. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოთა სრულიათ რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის ცირკულიარული ცნობა მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების ყველა საბჭოებს. „ამხანაგებო! დამფუძნებელ კრების არჩევნებამდე რაღაც ორ თვე ნახევარი დარჩა. ამ ხნის განმავლობაში საჭიროა დიდი ტეხნიკური და პოლიტიკური მუშაობა, რომ გავაცნოთ მოქალაქეთ, რომელთა უმრავლესობა პირველათ ღებულობს მონაწილეობას პოლიტიკურ არჩევნებში, სახალხო დამფუძნებელ კრების დიდი მნიშვნელობა და მისი მიზანი: ამიტომ რევოლიუციონურმა დემოკრატიამ მთელი ძალღონე უნდა იხმაროს, მოაწყოს რიგზე არჩევნების საქმე, რომ დემოკრატიამ შეგნებულათ გამოხატოს თავისი ნება. დამფუძნებელ კრების საჩქაროთ მოსაწვევათ საჭიროა დაუყოვნებლივ განახლებულ დაარსებულ იქნას ქალაქების და სოფლების თვითმართველი ორგანოები, რომელთაც შემდეგში დააკისრებენ საარჩევნო სიების შედგენას. საბჭოთა სრულიათ რუსეთის ყრილობამ დაადგინა დაარსოს ცენტრალურ კომიტეტთან დამფუძნებელ კრების საარჩევნო ბიურო. ბიუროს ევალება მიაწოდოს ყოველივე ცნობები არჩევნების შესახებ რევოლიუციონურ დემოკრატიას, შეჰკრიბოს ყოველივე მასალები არჩევნების შესახებ და მუდმივ დამოკიდებულება იქონიოს ადგილობრივ კომიტეტებთან. ბიურო პასუხს გასცემს ყოველ კითხვებზე როგორც ადგილობრივ, ისე ცენტრალურ საბჭოებს და თუ საჭირო იქნა გაუგზავნოს მათ ინსტრუკტორები და რწმუნებულნი. საარჩევნო სიების შედგენის წინასწარი მუშაობა კანონით ევალება ეხლა არსებულ თვითმართველობათა ორგანოებს. ამ ორგანოების მიერ შედგენილი საქალაქო და სასოფლო თვითმართველობების საარჩევნო სიები საფუძვლათ დაედება. ამიტომ ყველა ადგილობრივ საბჭოთა მოღვაწეებმა ენერგიული მონაწილეობა უნდა მიიღონ ამ სიების შედგენაში. შედგენილი სიები შეამოწმონ იქ, სადაც ემზადებიან მათ შედგენაში. იქ სადაც თვითმართველობათა ორგანოები არ არის, თქვენი მოვალეობაა შეუთანხმდეთ გლეხთა დეპუტატების საბჭოებს და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს. (გამოტოვებულია) დაუყოვნებლივ გამოარკვიეთ პარტიულ ორგანიზაციებთან ერთათ როგორი მონაწილეობა უნდა მიიღონ საბჭოებმა თქვენ რაიონის არჩევნებში, რომ ეს არჩევნები კეთილათ დაგვირგვინდეს. გამოჰყევით თქვენი საბჭოდან სპეციალური საარჩევნო კომისია, რომელიც ეხლავე უნდა შეუდგეს მუშაობას გთხოვთ შეგვატყობინოთ მოსალოდნელია თუ არა რაიმე დაბრკოლება ადგილობრივ პირობების მიხედვით მომავალ არჩევნებში. შეგვატყობინეთ გარდა რუსულისა რომელ ენაზე დაწერილი საარჩევნო ინსტრუქცია უნდა გამოგიგზავნოთ. სრულიად რუსეთის ცენტრალური კომიტეტი ელის საჩქაროთ თქვენს პასუხს. დეპეშის ადრესი: პეტროგრადი, დეპუტატთა საბჭოს, დამფუძნებელი ბიურო. მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს.

პეტროგრადის ჯარისკაცთა სექციის კრება.

პეტროგრადი. პეტროგრადის დეპუტატთა საბჭოს ჯ.-კ. სექციის კრებამ ხელ ახლა განიხილეს საკითხი პეტროგრადის გარნიზონის ჯარის კაცთა სოფლათ სამუშაოდ გაშვების შესახებ. სამხედრო უფლების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეს საკითხი ფრიად მნიშვნელოვანია. არმიის კომიტეტების წარმომადგენლებმა ზურგის უკანა ჯარში მყოფ ჯარის კაცების დათხოვნის წინააღმდეგობა განაცხადეს, რადგან ეს მომქმედ ჯარის მიმართ დიდი უსამართლობა იქნებაო. სასურსათო სამინისტროს წარმომადგენელი მიემხრო სამხედრო მინისტრის ბრძანებას, მას მხარი დაუჭირეს მუშათა, გლეხთა და ყაზახთა დეპუტატების საბჭოთა წარმომადგენლებმა. ბოლშევიკები დაჟინებით მოითხოვდენ სამხედრო მინისტრის ბრძანების გაუქმებას, და რადგან მათი აზრით არ გავიდა, მათ დემონსტრატიულათ დასტოვეს კრება, იგინი დაემუქრენ, რომ პეტროგრადის გარნიზონს მოვუწვევთ სექციის გასარკვათო. დარჩენილებმა მიიღეს რეზოლიუცია ბრძანების შესრულების საჭიროების შესახებ, ამასთანავე ცენტრალურმა კომიტეტმა სამხედრო უწყებასთან ერთათ ხელ ახლა უნდა განიხილოს სპეციალურათ ყანების მოსამკელათ ჯარის კაცების დათხოვნის შესახებ საკითხი, თუნდაც სულ მოკლე დროთი და განსაზღვრული რიცხვი.

ფინლანდიის დამოუკიდებლობის საკითხი.

ჰელსინგფორსი. ფინლიანდიის დამოუკიდებლობის გამოცხადების შესახებ სეიმის კანონ-პროექტის მდგომარეობა ჯერ გამოურკვეველია. ფინლიანდიის მმართველი წრეები ჯერ თავიანთ აზრს არ აცხადებენ ამ ამბების შესახებ. არსებულ კანონების მიხედვით სეიმის უმაღლეს უფლების შესახებ, პროექტის შესახებ მესამეჯერ კენჭის ყრისთვის საჭიროა ხუთი მეექვსედი ხმის უმრავლესობა. აქ ფიქრობენ, რომ ს.-დემოკრატები უბრალო ხმის უმეტესობით გაიყვანენ კანონს. ფინლიანდიის მმართველი წრეების შეგნებული ნაწილი ცდილობს კითხვის გადაწყვეტა სხვა დროისთვის გადასდოს.

სტოკჰოლმის კონფერენცია

პეტროგრადი. პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს საერთაშორისო განყოფილებამ ცნობა მიიღო სტოკჰოლმში სამშვიდობო კონფერენციის მოსაწყობათ გაგზავნილ დელეგაციისაგან. პირველ დღეს დელეგატებმა ითათბირეს ციმერვალდელებთან. დელეგაციამ განაცხადა, რომ მას არ შეუძლია ციმერვალდის კონფერენციის მოსაწყობათ მუშაობაში მონაწილეობა მიიღოს, რადგან მას დავალებული აქვს საზოგადო კონფერენციის მოწყობა. თათბირს გადაჭრილი პასუხი არ მისცა: თათბირის კომიტეტმა წინადადება მისცა შეემუშავებიათ ზავის პირობები. დელეგაციამ ამ წინადადებაზე უარი სთქვა. ვერ შეთანხმდენ აგრეთვე ხმის მიცემის სავალდებულოთ გახდის შესახებ. კომიტეტი და დელეგაცია ვერც იმ საკითხში მორიგდენ, რომ მიიღონ ბერნის კომისია. დელეგაციამ მონაწილეობა მიიღო კომისიის კრებაზე და განაცხადა, რომ ციმერვალდელთა პარტიის უმრავლესობას სურს საბჭოთა კონფერენციის დაესწროს. ზალმანოვა წინააღმდეგია (დასწრების?) გადაჭრილი პასუხი არ მოსულა.

ფინლიანდია და რუსეთის სესხი.

ჰელსინგფორსი. სეიმის კრებაზე განიხილეს საკითხი რუსეთის 350 მილიონიან სესხის შესახებ. საფინანსო კომისია სესხის წინააღმდეგია, რადგან ეს ფული შეიარაღებას მოხმარდება და წინადადებას აძლევს სეიმს ნება მისცეს ფინლიანდიის ბანკს მისცეს რუსეთს სესხათ 100 მილიონი მარკა. მრავალმა ორატორებმა ამ წინადადებას მხარი დაუჭირეს.

ბოლშევიკები არ სცხრებიან.

ბერნი. როცა ქალაქში გაიგეს, რომ ბოლშევიკები სადემონსტრაციოთ ემზადებოდენ ყველა პოლიტიკურმა პარტიებმა უარი სთქვეს გამოსვლაზე. მიუხედავათ ამისა 25 ივნისს ბოლშევიკები ქუჩაში გამოვიდენ, მაგრამ მოქალაქეებმა და ჯარისკაცებმა სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს. დაუხიეს დროშები, ორატორებს სცემეს. წესიერების აღსადგენათ ჯარს დაუძახეს. გამოძიება სწარმოებს.

ომის დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგ.)

პეტროგრადი. 1 ივლისი. მდ. ლომნიცის ქვემო ნაწილებში, კალუშის რაიონში მტერმა რამდენიმე იერიში მოიტანა, მაგრამ მათი იერიშები მოვიგერიეთ. კალუშის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენმა ჯარმა სოფ. ნოვიცა დაიკავა.

კავკასიისა და რუმინიის ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა.

პეტროგრადი. 2 ივლისი. მდ. ლომნიცის რაიონში დროგამოშვებითი სროლაა. კალუშის სამხრეთ-დასავლეთით, ნოვიცას რაიონში მტრის იერიშები მოვიგერიეთ. ამ ბრძოლის დროს ტყვეთ წამოვიყვანეთ [illegible] ჯარისკაცი და 16 აფიცერი. [illegible] ავსტრიის ჯარს უკან დავახევინეთ. 1000 ჯარისკაცი ტყვეთ წამოვიყვანეთ. მდ. ლომნიცის მარჯვენა ნაპირიდან მტერს გაფთრებული იერიშები მოაქვს.

რუმინიის ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა. კავკასიის ფრონტზე ვანის მიმართულებით მტრის მოწინავე რაზმებს უკან დავახევინეთ. მდ. არიგ-დარასის მარცხენა ნაპირას მტერი სანგრებიდან გავრეკეთ.

პარიჟი. 30 ივნისი. სენ-კანტენის სამხრეთ-აღმოსავლეთით სასტიკი საარტილერიო სროლა დაიწყო, განსაკუთრებით მდ. მაასის ორთავე ნაპირებთან. გერმანელებმა ქ. რეიმს ყუმბარები დაუშინეს და განაპირა ადგილებში 1600 ყუმბარა გადაისროლეს.

ლონდონი. 29 ივნისი. საფრანგეთის ფრონტზე, ლომბარდზეიდის რაიონში საარტილერიო სროლაა. დანარჩენ ფრონტზე სიწყნარეა.

რომი. 1 ივლისი. პედრაცის ველზე მტრის რაზმები გავფანტეთ. ვალარსის რაიონში საარტილერიო სროლა დაიწყო.

სიფას რაიონში მტერი უკუვაქციეთ.

დეპეშა.

(საკუთ. კორესპ.)

ხარიჯამიში. 29 ივნისს ვერაგულათ მოჰკლეს ამხანაგი ბურჯანაძე და ერთი ჯარისკაცი პროვოკატორებმა, ყოფილმა ჟანდარმებმა. ეს ყოფილი პროვოკატორები დარბევის განგრძობას ცდილობდენ. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს საქმეში ენერგიულმა ჩარევამ დაწყებული დარბევა შეაჩერა. 30 ივნისს მოწვეულ იქნა მიტინგი, სადაც ორატორებმა ილაპარაკეს პროვოკატორების წინააღმდეგ. ილაპარაკეს სოც.-დემოკრატებმა, სოც.-რევოლ. და აღმასრულებელი კომიტეტების წარმომადგენლებმა. გამოძიება სწარმოებს და პროვოკატორთა წინააღმდეგაც სასტიკი ზომებია მიღებული. ჯარში სიწყნარეა. დაწვრილებით წერილით გაცნობებთ.

აბაშიძე.

ახალი ამბები

ამხ. მიშა არხენიძე უკვე გამოეწერა საავადმყოფოდან და გუშინ ჩვენს რედაქციაში შემოიარა. ის საერთოდ ჯანზე გვარიანათაა, მხოლოდ სუნთქვის დროს ცოტათი ფილტვების ტკივილსა გრძნობს, ამ დღეებში აგარაკზე აპირებს წასვლას საექიმოთ და დასასვენებლათ.

◆ **ერობა კავკასიაში.** ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტმა პეტროგრადიდან ვესელოვსკისაგან დეპეშა მიიღო. ის იტყობინება, რომ ჩემი თავმჯდომარეობით შესდგა თათბირი, რომელმაც უნდა გამოიმუშაოს დებულებანი კავკასიის ერობისთვის და საჭიროთ მიმაჩნია თათბირში საგანგებო კომიტეტის წარმომადგენლის მონაწილეობა.

◆ **ჩვენი გაზეთის რედაქტორის სამართალში მიცემა.** ჩვენი გაზეთის რედაქტორს ვლ. ბოხოხაძეს სამართალში აძლევენ ხონელი ექიმი მათე ვასილისძე ზატიძე და ოზურგეთის ორ-კლასიანი საქალებო სკოლის გამგე ლუდმილა ირაკლის ასული ჯულელი. პირველი ე. ი., ზატიძე უჩივის „თანამედროვე აზრის“ 12 იანვრის 1916 წ. მე 8 ნომერში კორესპონდენცია იყო მოთავსებული ხონიდან შურას ხელმოწერილი, სადაც ნათქვამი იყო, თითქოს მე წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მოლარის 1500 მანეთი ვაზარალე. ასეთი ბრალდება მას მიაჩნია ცილისწამებათ და ინსინუაციათ. ლუდმილა ჯულელი უჩივის: „თანამედროვე აზრის“ 10 მარტის 1916 წ. მოთავსებული იყო ოზურგეთიდან წერილი „ხუცესის“ მიერ ხელმოწერილი, სადაც ისეთ ცოდვებს აწერს ავტორი, როგორც პირადათ მე, ისე ჩემდამი რწმუნებულ სასწავლებელს, რომლებიც ჩირქსა სცხებენ და სახელს მიტეხენ მე და სასწავლებლის ღირსებასაც ჰკლავსო. ორივე საჩივარი ამ ჟამათ იმყოფება თფილისის საოლქო სასამართლოს ბრალმდებელთან.

◆ **სურსათი.** ვინაიდან რუსეთში შაქრის ნაკლებობაა ამ ჟამათ, სასურსათო კომიტეტმა გადაწყვიტა 1 ივლისიდან სულზე თითო გირვანქა შაქარი დაარიგოს. ამასთანავე სასურსათო კომიტეტს აზრათ აქვს ნიხრი დააწესოს ხილეულობაზე და მწვანილეულობაზე. 1 და 2 ივლისს თფილისში შემოიტანეს 23 ვაგონი პურის ფქვილი.

◆ **თფილისის საკონდიტეროებს,** როგორც ვიცით, სამუშაო მასალა არ მოეპოვებათ, ვინაიდან სასურსათო კომიტეტი აღარ აძლევს ფქვილს და სხ. ამიტომ კონდიტერ-მუშაკეთა პროფესიონალურმა კავშირმა დაადგინა: ასეთ შემთხვევაში დათხოვნილ მუშებს სამი თვის ჯამაგირი უნდა მიეცეთ.

◆ **ცეცხლი და ადამიანთა მსხვერპლი.** 1 ივლისს საღ. 6 საათ. სურფ-მინასის ქუჩაზე ავეტის დემურიანცის სახლში ცეცხლი გაჩნდა. ცეცხლის გაჩენის მიზეზი გამოურკვეველია. ცეცხლში დაიწვა დემურიანცის ცოლი და მისი 14 წლის ვაჟი. თვით სახლიც სრულიათ დაიწვა დაინგრა. აქედან ცეცხლი გადავიდა მეზობელ სოფიო ოქრუვას სახლზე. დაიწვა ამ სახლის უკანა დერეფნის კედელი და სახლის მარჯვენა სახურავი. ოქრუვას სახლი დაზღვეული აღმოჩნდა 4 ათას მანეთათ. ცეცხლი ჩააქრო ცეცხლის მქრობელმა რაზმმა. ელისა-

ბელის ქუჩ. № 246—ორჩურბანოვის ბალშიაც ცეცხლი გაჩნდა, ზარალი 4 ათასი მანეთია.

◆ **ბეჭდვითი საქმის მუშათა კავშირის** პროფესიონალური კავშირის წევრთა კრებაზე 30 ივნისს აირჩიეს ახალი გამგეობა. თავმჯდომარეთ პუგაჩევი, თავმჯდომარის ამხანაგათ—ოჰანეზოვი, მდივნებათ: ბერგმანი და ბეჟუხა. ამასთანავე არჩეულ იქნა 4 წარმომადგენელი პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალურ ბიუროში.

◆ **მუშათა კლუბი.** 2 ივლისს, 1-ელ სამილიციო უბნის მუშათა კლუბში გაიმართა ინტერნაციონალური საღამო. საღამო შინაარსიანი იყო. აღსანიშნავია ის მოვლენა, რომ ამ კლუბის საქმეები მუშებს კარგათ მიჰყავთ.

◆ **მუშათა დეპუტატების საბჭოსთან არსებული** მუშათა კომისიის წევრთა კრება მოხდება სახალხო სახლში დღეს, საღამოს 7 საათზე. დღის წესრიგი: მთელი რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა ყრილობის დელეგატის ამ. ლომთათიძის მოხსენება; სამანდატო კომისიის მოხსენება და მიმდინარე საქმეები.

◆ **სიმინდი.** ქუთაისისა და თფილისის გუბერნიებში სიმინდის შემოტანა შეწყდა. საქმის მოსაგვარებლად ჩრდილო კავკასიაში გაემგზავრენ თფილისისა და ქუთაისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტების რწმუნებულები ნიკო ელიავა და ბრდიშვილი და აგრონომი დალაქიშვილი.

◆ **მანუფაქტურა.** სასურსათო საქმის მინისტრის ამხანაგი დეპეშით ატყობინებს თფილისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტს, რომ სამინისტროს დაუმზადებია დიდძალი სამანუფაქტურო საქონელი. მანუფაქტურაზე დაწესებულია მტკიცე ფასები. სამინისტრო სთხოვს სასურსათო კომიტეტს ხელი შეუწყოს ხსენებული საქონლის თფილისის გუბერნიაში განაწილებას—გავრცელებას.

◆ **ლექცია.** 30 ივნისს, კომერციულ სასწავლებელში (მერვე სამილიციო უბანი) ამხ. მინდ. ტოროშელიძემ წაიკითხა ლექცია „მუნიციპალური პლატფორმა“. ლექციას დიდძალი ხალხი დაესწრო.

◆ **ს. დ. მოღვაწენი საქართველოში.** ერთ ჯგუფათ გამოცემული სურათი კანტორა „განათლების“ მიერ, რედაქციამ მიიღო. ჯგუფში მოთავსებული არიან: ნოე ჟორდანია, სილ. ჯიბლაძე, ი. წერეთელი, ნ. რამიშვილი, ლ. დარჩიაშვილი, ა. ჯაფარიძე, რ. არსენიძე, ის. რამიშვილი, ა. ჩხენკელი, კ. ჩხეიძე, ე. გეგეჭკორი, პ. გელეიშვილი, პ. ლომთათიძე, ფ. მახარაძე, ე. ნინოშვილი, ა. წულუკიძე და ს. ჯუღელი. ჯგუფი სუფთა გამოცემაა, დაბეჭდილია კარგს ქაღალდზე და ღირს 80 კაპ.

◆ **ახალი წიგნი.** რედაქციამ მიიღო გამომცემლობა „პროლეტარის“ მიერ გამოცემული ამხ. ან-ის „ჩვენ და ფედერალისტები“, წიგნი სუფთა გამოცემაა და ღირს ორი აბაზათ.

◆ **მ. რუხია** გვთხოვს გამოვაცხადოთ შემდეგი: 25 ივნისს მიტინგზე მოტაცებული 1) მუშათა საბჭოს მოწმობა, მოცემული როგორც პროპაგანდისტთა ბიუროს თავმჯდომარეს, 2) თფილისის ორგანიზაციის რ. ს. დ. მ. პ. წევრობის ბილეთი და 3) თფილისის სამხედრო უფროსის მოწმობა ითვლება ძალა დაკარგულათ.

◆ 2 ივლისს რკინის გზის ცენტრალურმა კომიტეტმა დეპეშით აცნობა სამტრედიის რკ. გზ. ადგილობრივ კომიტეტს, რომ გადაყენებული სადგურ სამტრედიის ბარგის კასირი სევერიან ფრანგიშვილი დაშვებულ იქნას სამსახურში.

◆ **ექიმ ტერტეროვის გადაყენება.** ქუთაისის საგუბერნიო ექიმი ტერტეროვი გადაყენებულ იქნა თანამდებობიდან. მას პასუხის გებაში აძლევენ. („საქართ.“)

◆ **სამხედრო ბეგარა.** სამხედრო და შინაგან საქმეთა სამინისტროების შეთანხმებით სამხედრო ბეგარის მოსახდელად გამოცხადების ვადა გაუგრძელდათ 1917 წ. 2 ოქტომბრამდე 1919 წლის გასაწვევ იმ ახალგაზრდებს, რომელთაც სასულიერო უწყების ორკლასიანი სასწავლებლები დაასრულეს ამ წლის გაზაფხულზე და ახლა საეკლესიო საოსტატო სკოლებში აპირობენ შესვლას სწავლის გასაგრძელებლად.

◆ **ფული გადმოხვეწილთათვის.** გადმოხვეწილთა დამხმარე საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა მისცა სომეხთა ცენტრალურ კომიტეტს 50 085 მან. გადმოხვეწილ ბავშვთა სკოლების შესანახად ეს მაისიდან თიბათვის ბოლომდე. აგრეთვე მისცა იმავე კომიტეტს 93,315 მან. 4,414 ობოლ ბავშვების შესანახად.

კრებები და მიტინგები.

— მეოთხე სამილიციო უბნის რ. ს. დ. მ. პ. საარჩევნო კომიტეტი მართავს მეორე ლექციას, თემა: სოციალ-დემოკრატიული პროგრამის მინიმუმი წაკითხულ იქნება სომხურათ, ქართულად და რუსულად:

— 4 ივლისს საღ. 7 ს. გაიანეს სახელობის სკოლაში.

— 5 ივლისს საღ. 7 კათოლიკეთა სკოლაში (კათოლიკეთა ქუჩა).

— 6 ივლის საღ. 7 საათ. მეორე მომრიგებელ მოსამართლის შენობაში (მუხრანის ქ.)

— 7 ივლისს საღ. 7 ს. სახელოსნო სასწავლებელში (ექსარხოსის მოედანი).

— 4 ივლისს მეოთხე რაიონის კოლლექტივის ბიუროში შესდგება ამ რაიონის კოლლექტივის მორიგი კრება. კრება გაიხსნება საღამოს 8 საათზე. ამხანაგებს სთხოვენ ნუ დაიგვიანებენ.

პროვინციის ქრონიკა.

საჩხერის რაიონი (შორაპ. მაზ.). თანახმათ ამიერ კავკასიის გლეხთა ყრილობისა საჩხერის რაიონში უკვე შეუდგენ მომრიგებელ კამერების შედგენას მიწების ღალების მოსაწესრიგებლათ. ამის შესახებ რამოდენიმე საზოგადოებაში მოხდა ყრილობა, სადაც როგორც ადგილის გამცემი აგრეთვე მუშებიც თანახმანი არიან, რომ წელს მიწების ღალები არ შეიცვალოს. საჩხერის რაიონში უკვე შიმშილობაა. გასაყიდი სიმინდი არ არის, თუმცა სასურსათო კომიტეტმა ვერაფერი გააკეთა ჯერ ჯერობით. პური და შაქარი აქეთ არ იშოვება.

დ. სამტრედია. 18 ივნისს კულაშის საზოგადოების ყრილობამ პასუხი მოსთხოვა ყველა იმ პროვოკატორებს, რომლებმაც 1906 წელს ამხ. ვასილ ახობაძეზე და სხვებზე საჩივარი აღძრეს და ცივ ქვეყნებში გაისტუმრეს. ბევრს მათთაგანს სხვა პროვოკატორული მოქმედებაც დაუმტკიცდა. ყრილობამ ეს პირები რევოლიუციონურ სასამართლოში მისცა, ყველაზე დიდი დანაშაული მიუძღვის ბესარიონ ნინუას, სოლომონ ნიკურაძეს და ბესარიონ კიკაბიძეს.

ამ დღესვე აირჩიეს სინდისის სასამართლო, რომელსაც ევალება ყველა იმ დანაშაულის გარჩევა, რომელიც რევოლიუციის და თავისუფლების წინააღმდეგ არის მიმართული.

— 20 ივნის სამტრ. ორ. კლ. სასწავლებლის დარბაზში მოხდა ყველა საზოგადოების აღმასრულებელი კომიტეტების შეერთებული კრება რაიონული აღმასრულებელი კომიტეტის ასარჩევად; არჩეულ იქნა 11 კაცი; ილ. კოპალაიშვილი, არ. ახობაძე, ვანო კაკაბიძე, ლონგ. გრიგოლია და სხვები.

— კოოპერატივში მომუშავეებმა მოითხოვეს 50 პროცენტის მომატება, ახლო მომავალში მოწვეულ იქნება არა ჩვეულებრივი კრება და ეს კანონიერი მოთხოვნა მუშებისა უთუოდ დაკმაყოფილებული იქნება.

— აქ დაარსდა პროპაგანდისტთა სკოლა, უმთავრესათ შიგ არიან სახალხო მასწავლებლები და მოწინავე მუშები. ხელმძღვანელობა იკისრეს ადგილობრივმა ამხანაგებმა.

სამტრედია. 11 ივნისს აქ მოხდა დასავლეთ საქართველოს წიგნების ყველა მაღაზიის მოსამსახურეების კრება, კრებამ გაარჩია სხვა და სხვა საკითხები და დაბოლოს აირჩიეს კომიტეტი. ბოლოს კრებას წინადადებით მიმართა ამხ. მ. ჭანუკვაძემ, რომ შეეგროვებიათ ფულები გაზეთის ფონდისათვის, რაც კრებამ ერთხმად მიიღო. შეგროვდა სულ 88 მან.

ხვარბეთი. (გურია). ჩვენმა საზოგადოებამაც გაახილა თვალები. გახსნა კოოპერატივი, სამკითხველო და აგრეთვე ცდილობენ გახსნან პირველ დაწყებითი სკოლა. სამკითხველო ჯერ ჯერობით მეტათ ღარიბია.

ჩვენს სოფელს არ უდგება არც ექიმი და არც დილიჟანი. ეს კი ხელს უშლის ჩვენს წინსვლას. კარგი იქნება ამაზე იფიქრებდენ.

მალე დაგვეჭირდება ორი მასწავლებელი, იმედი გვაქვს, რომ თავიანთი საქმის მოყვარული ხალხი მოგვევლინებიან მასწავლებლათ.

სოფ. ახალსაუდარი. ენერგიული მასწავლებლის შრომით გახსნეს აქ სამკითხველო და პრა-კურსის სკოლა. კარგი იქნება, რომ კოოპერატივსაც გახსნიდნენ.

სოფ. ძედისუბანი (რაჭის მაზრა). არავითარი კულტურული დაწესებულება აქ არ არსებობს გარდა სამრევლო სკოლისა, რომელსაც დიდი სარგებლობა მოაქვს, ხელმოკლე გლეხობისათვის. ამ სკოლით სარგებლობს მახლობელი სოფ. ჯვარისა. საჭიროა ეს ორი სოფელი შეერთდეს და ერთი დიდი სკოლა გაიკეთონ, რადგან მოსწავლეთა რიცხვი დღითი-დღე მატულობს და არსებული სკოლა მათ ვერ იტევს. საშინელმა ომმა ცუდ მდგომარეობაში ჩააგდო რაჭის სოფლები. ყველაფერი საგრძნობლათ გაძვირდა, აქაური ჩარჩები ტყავს აძრობენ გლეხს. ფუთი სიმინდი ფასობს ადგილობრივ 5 მან. 50 კაპ. ე. ი. კოდი სიმინდი თოთხმეტი მანეთი. ადგილობრივ ვაჭრები ისე ხომ არაფერს გაყიდიან თუ ღირებულ ფასზე ორი წილი მეტი არ აიღეს. რამდენიმე პირს განუზრახავს კოოპერატიული დუქნის დაარსება, რაც დიდათ ხელს შეუწყობს უკიდურეს მდგომარეობაში ჩაცვივნულ გლეხობას.

რუსეთის ამბები.

ანარქისტები და რევოლიუცია.

„რ. გ.“ სწერს: „რამდენათაც წინ მიდის საქმის გამოძიება დურნოვის აგარაკიდან ანარქისტების გაძევების შესახებ, იმდენათ ირკვევა, რომ იქ მოკალათებული ანარქისტები უბრალო სისხლის დამნაშავენი ყოფილან. იქ მოკლული „ანარქისტი“ რატინი, როგორც ირკვევა, ყოფილა ჩვეულებრივი ქურდი და ავაზაკი, რამდენმეჯერ ყოფილა გასამართლებული ქურდობისა და თავდასხმისთვის. ჟელეზნიაკოვი, რომელმაც ჯარისკაცებს ყუმბარა ესროლა, ბრალმდებლის ცნობების თანახმად, იმ წერილის ავტორი ყოფილა, რომლითაც მოითხოვდენ ციხიდან პროვოკატორის გუსევის განთავისუფლებას. გაზეთის სიტყვით ანარქია, არევ-დარევა თანდათან ფეხს იკიდებს რუსეთში. ამ ნიადაგზე „მოღვაწეობენ“ სხვადასხვა „ანარქისტები“, კონტრ-რევოლიუციონერები და სხვ. მაგრამ უფრო მეტი ანგარიში გასაწევია ის გარემოება, რომ მუშათა წრეებში უკმაყოფილება თანდათან ვითარდება. ანარქიზმი საერთო გახრწნის შედეგია. ის მხოლოდ მაშინ პოულობს ნიადაგს ხალხში, როცა პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრების მსვლელობა ფერხდება. ანარქიზმის განვითარება, მისდამი სიმპატია კი, იმის მაჩვენებელი იქნებოდა, რომ დამდგარია რევოლიუციის შეფერხების ან დაღუპვის საშინელი ხანა. საქმეს მხოლოდ შემოქმედებითი მუშაობა უშველის—პარტიულ, პროფესიონალურ და სხვა ილეთ ასპარეზზე, სადაც შესაძლებელია რევოლიუციის მამოძრავებელ ძალების თავის მოყრა. მხოლოდ ამ შემთხვევაში გამოეცლება ყოველგვარი ნიადაგი ანარქისტებს. ამის შემდეგ შეიძლება მათ წინააღმდეგ სასტიკი ზომების მიღება, რაც მუშათა წრეებში არავითარ უკმაყოფილებას არ გამოიწვევს.

„ერთობის“ კანტორისაგან

უმორჩილესად გთხოვთ ყველა იმათ, ვინც ჩვენს სახელზე ფულებს გზავნის აუცილებლათ აღნიშნოს ფულის გამოსაგზავნ კუპონზე მათი დანიშნულება. ვინაიდან წერილები, რომელშიდაც ფულის დანიშნულებაა აღნიშნული, ხშირათ იკარგება და კანტორისთვის ფულების დანიშნულება გაურკვეველი რჩება. აგრეთვე უმორჩილესად გთხოვთ, რომ კერძო შემოწირულებებს, რომელსაც რედაქციასთან კავშირი არა აქვს, რედაქციის სახელზე ნურავინ გამოგზავნის.

„ერთობის“ კანტორა.

არჩევნების წინ.

VI.

როდესაც უცხო ვინმე ესტუმრებოდა ქალაქს, იმას პირველათ ყოველისა ქალაქის მამები მიაქანებდნენ ქალაქის სამკურნალო დაწესებულებების და სკოლების დასათვალიერებლათ.

ძველ საბჭოს სწამდა, რომ ქალაქის სკოლები და სამკურნალოები მისი მოღვაწეობის დადებითი მხარეს შეადგენდა.

ნამდვილათ კი ეს იყო—

— „სატრაბახო დაწესებულებანი“!

სტუმარი კითხულობდა:

— რა გააკეთა გამგეობამ ღირს შესანიშნავი.

გამგეობას ავტომობილიც მზათ ყავდა და პასუხსაც მიარტყამდა:

— ქალაქის სკოლები, რომლებზედაც ნახევარი მილიონი იხარჯება.

— საუცხოვოთ მოწყობილი საავადმყოფოები.

მოსული ნახულობდა ამ „მოხერხებულათ“ მოწყობილ დეკორაციებს, კმაყოფილი რჩებოდა და, რასაკვირველია ბ-ნ. ხატისოვს კომპლიმენტებით უხვათ ამკობდა.

ქალაქის მამებს ამ შემთხვევაში ერთი ჩვეულება ქონდათ.

„ჩვეულება“, რომელმაც ისინი არაერთხელ იხსნა უხერხულ მდგომარეობიდან.

მოსულს არასოდესაც არ მიუთითებდნენ იმ დაწესებულებაზედ, რომელიც აშკარა საეჭვო, უსიამოვნო კითხვებს გამოიწვევდა.

ქალაქის „მამები“ ადგილობრივ კრიტიკებს ზევიდან უცქეროდა.

მათ ანგარიშს სრულებითაც არ უწევდა, რადგან მოხერხებული პასუხი მზათ ქონდა და ამ ხალხთან ბრძოლაში გამგეობა შეიარაღებული იყო ყოველგვარი უფლებებით, ამ შემთხვევაში თვით ადმინისტრაციის დახმარებაზედაც უარს არ იტყოდა.

სულ სხვა იყო მათი დამოკიდებულება უცხო ხალხისადმი.

საბჭოს და გამგეობის სუსტ მხარეს შეადგენდა—

— შიში უცხო „წკიპარტის“ წინაშე!

და რომ ეს „წკიპარტი“ თავიდან აეცილებინათ ყველას მიაქანებდნენ სკოლებისა და სამკურნალოებისაკენ.

აქ ქალაქის მამები თავს „იმედიანათ“ გრძნობდენ!

მარა რა ფასის იყო ეს „იმედი“ და ვინ იყო ამ იმედის მიზეზი სკოლების შესახებ?

უნდა აღვნიშნოთ, რომ შედარებით ქალაქს ცოტათ თუ ბევრათ ეხერხებოდა სწავლა განათლების საქმის მოგვარება.

თუ ეს განყოფილება ქალაქის საქმეებისა შედარებით უფრო უკეთ იყო დაყენებული, ამაში დიდი წილი მიუძღვის მასწავლებლების ერთ ჯგუფს. უკანასკნელ ხანებში მასწავლებლების კორპორაციის შემადგენლობა თან და თან უმჯობესდებოდა, აქ თავს იყრიდა ერთნაირი ძალა, რომელიც ზნეობრივ და იდეიურ გავლენას ახდენდა თავიანთ ამხანაგებზე და ამ კორპორაციის საშუალებით საბჭოს უმრავლესობა იძულებული იყო მეტი ყურადღება მიექცია სწავლა განათლების ნაწილისათვის. სამოსწავლებლო პერსონალის უმრავლესობის მადლიანი შრომა, აი ის წვლილი, რომელიც ქალაქის გამგეები უხვათ ტრაბახობდნენ.

სულ სხვა ნიადაგზე დგას კითხვა საავადმყოფოების შესახებ.

ქალაქის თითქმის ყველა სამკურნალო დაწესებულებანი მოთავსებულია ავლაბარში.

აქ ქალაქმა ააშენა საავადმყოფოები და ამ ნაწილს გასაკუთრებული სახელი დაარქვა — „საავადმყოფო გოროდოკი“.

ვკითხოთ—რატომ მოხდა ეს?

ქალაქის მამები ამბობენ, რომ ამას თხოულობდა მცხოვრებთა ინტერესები.

ქალაქის მამებს პირზედ ეკერათ სიტყვები—

— „მცხოვრებთა ინტერესები“!

— ჩვენ, ვამტკიცებთ რომ ეს იყო საჭირო ქალაქის მიწებზე სპეკულიაციის გამოსაწვევათ.

საბჭო სწერს თავის ოქმებში:

— „ავაგოთ საავადმყოფოები ავლაბარში, სადაც ბევრი თავისუფალი მიწები აქვს ქალაქსაც.

მარა ეს უბრალო „ხრიკები“ იყო და სხვა კი არაფერი.

ეს არგუმენტი იეზუიტური არის ისე როგორც თვით მთელი მოღვაწეობა ხმოსნებისა არის ფარისეველური ფლიდური.

განა რამ წაართვა ქალაქს თავისუფალი მიწები სხვა კუთხეებში.

რატომ აუარა გვერდი ძველმა ხმოსნებმა კუკიის საუცხოვო მიწებს!

რომელმა „ხალხის“ ინტერესებმა მოითხოვეს ამ საქმეში მიევიწყებინათ ნაძალადევი და სხვა უბნები!

აი როდის შეიძლება ვუთხრათ ამ „მოღვაწეებს: „ფიცი მწამს, ბოლო კი მაკვირვებსო“.

სურვილი, ხალხის ნამდვილ ინტერესებზე დაურდნობილი, აძლევდა საშუალებას ქალაქის მამებს ქალაქის ყველა ნაწილში აეშენებინა სამკურნალოები, რომ საცოდავ და დაჩაგრულ ღატაკობას არ დასჭირებოდა ავლაბარში რამოდენიმე ვერსის მანძილზე თრევა.

მარა ამ კითხვის გადაწყვეტის დროს ქალაქი ორი მოსაზრებით ხელმძღვანელობდა.

და ეს „მოსაზრებანი“ თვითმართველობის მოღვაწეობას გარკვეულ ვაჭრულს და შოვინისტურ ხასიათს აძლევდა.

ავლაბრის მივარდნილ კუთხეში გადაათრია თვითმართველობამ სამკურნალოები, იქ შექმნა მან ხელოვნურათ „Больничный городокъ“-ი ვიწრო ეროვნული და ვაჭრული შეხედულებით შეიარაღებულმა. მას სურდა ავლაბრის მიწების ფასების აწევა, მაშინ ქალაქის მიწებიც, რომლებიც აქვე ახლოს მდებარეობენ გაძვირდებოდა და თვითმართველობა მოხერხებულ კომბინაციას გააკეთებდა.

ავლაბრის საავადმყოფოების შესახებ მუშა ხალხში ვერ გაიგონებთ კარგ სიტყვას, რადგან როგორც ადგილ მდებარეობით ისე თავისი შინაური წესებით ეს საავადმყოფოები მუშა ხალხს სამსახურს ვერ უწევს.

„ბოლნიჩნი გოროდოკის“ მთავარი ექიმით ქალაქის გამგეობამ პლუტოკრატიის პროტექციით ბაქოდან მოიწვია ექიმი არუთინოვი.

არუთინოვი ავლაბრის ფარაონი გამოდგა.

მიუკარებელი, ამაყი, გულცივი და მხოლოდ „თავისი წრის“ ადამიანი, ის ანგარიშს არ უწევდა იქ მის წმინდა დანიშნულებას.

საავადმყოფოებში მან გაბატონა შოვინისტური ინტელიგენცია, ამ ინტელიგენციამ ციხის გალავნით შემოხაზა საავადმყოფოების საზღვრები და არა „თავისი“ კაცს ახლო მახლო მიდამოებზედ ფეხსაც არ გადაადგმევებდა.

ხმოსნების უმრავლესობა ასეთ საქციელს ტაშს უკრავდა, ნამდვილი საქმე კი მივიწყებული იყო.

ამას წინათ ჯარისკაცთა საბჭომ რევიზია დანიშნა ამ საავადმყოფოებთან მოთავსებულ მეორმოცე ლაზარეთის, სადაც ბ-ნი არუთინოვი იყო მთავარ გამგეთ, ნახა ამ ლაზარეთში „მიუპატიებელი შეცდომები“, ბ-ნი არუთინოვი გააძევა როგორც ლაზარეთიდან ისე ყველა საავადმყოფოდან და სამართალშიაც მისცა.

ამის შემდეგ ჩვენ უნდა დავრწმუნდეთ, რომ საბჭო, როგორც ქალაქის საქმეების ორგანო და უმთავრესი გამგე ხალხის ჯანმთელობის დაცვის საქმეში ხელმძღვანელობდა არა ხალხის ნამდვილი ინტერესებით, არამედ სხვადასხვა მოსაზრებებით.

საბჭომ ვიწრო შოვინისტური სულისკვეთებანი და მოხერხებული სპეკულიაცია თავისი მიწებისა ვირაგულათ გაახვია კაცთმოყვარეობის ფრაზებში, მან საავადმყოფოები გახადა შოვინისტურ ინტელიგენტ-ექიმების თავშესაფრათ, რასაც ერთ დროს ნიშნათ პროტესტისა გამგეობიდან ერთი წევრის გამოსვლა კინაღამ მოყვა.

საუკუნო და ბნელ სამარეში უნდა ჩაესვენოს ძველი საბჭო.

ამ სამარეს თავს დასტრიალებს უყურადღებობით დაღუპულ ავადმყოფ მცხოვრებთა აჩრდილები.

მწუხრით სავსე აჩრდილები! წყევლით და კრულვით იხსენიებენ ისინი ძველი მამების მოღვაწეობას.

მე მრწამს, რომ ამ ჩრდილები დინჯათ და შეგნებულათ მიაყრიან მიწას ძველი საბჭოს საძაგელ საფლავს. დადგება ახალი ხანა. მადლიერი ხანა თვითმართველობის ცხოვრებაში. მაშ, შევხვდეთ ამომრჩევლებო ამ ხანას!

დევნილი.

მცირე შენიშვნა.

აგერ სამი კვირაა, რაც თფილისში კვირაობით აფთიაქები იკეტება. თუ ავადმყოფი გყავთ და კვირა დღე წამალი დაგჭირდათ—ძნელათ იშოვით.

ფარმაცევტთა პროფესიონალური კავშირის გამგეობის დადგენილებით მთელი თფილისი ოთხ ნაწილათაა გაყოფილი. თითო ნაწილში კვირაობით თითო აფთიაქი მორიგეობს. დანარჩენი აფთიაქები მთელი დღე დაკეტილია. ეს ოთხი აფთიაქი რასაკვირველია მთელი თფილისის მცხოვრებთა საჭიროებას ვერ დააკმაყოფილებს. მაშინაც კი, როდესაც ყველა აფთიაქი მოქმედობს—ავადმყოფის პატრონებს საათობით უხდებათ ლოდინი სანამ წამალს მიიღებდნენ. ამასთანავე „მორიგე აფთიაქები“ დაშორებულნი არიან განაპირა ღარიბ უბნებს. მაგალითათ: ორთაჭალის და ხარფუხის მცხოვრებთ კვირაობით უნდა მივიდნენ გვანცელაძის აფთიაქში მუხრანის ხიდთან. დიდუბის მცხოვრებნი მიხაილოვის ქუჩაზე შნედერის აფთიაქში, ანდა მიხაილოვის ქუჩის მცხოვრებნი დიდუბეში კოჩიევის აფთიაქში, როცა ეს უკანასკნელი მორიგეობს და სხვა.

ყველა ეს დიდ უკმაყოფილებას იწვევს მცხოვრებთა შორის და ამწვავებს მდგომარეობას. და ამას ფარმაცევტების პროფესიონალური კავშირი კარგათ უნდა ჩაუკვირდეს და ანგარიში გაუწიოს.

ფარმაცევტების შრომა საჭიროა საზოგადოებას. აგრეთვე საჭიროა საზოგადოებისათვის აფთიაქებიც, ერთიც და მეორეც მეტად მწვავე საჭიროებას უკმაყოფილებს საზოგადოებას. ამიტომ ფარმაცევტებმა ისე უნდა გაანაწილონ თავიანთ შორის მძიმე და საპასუხისმგებლო მოვალეობა, რომ თვითონაც არ დაიჩაგრონ მეტი შრომით და საზოგადოებაც კმაყოფილი იყოს. ყოვლად შეუძლებელია მარტო თავის პროფესიაზე ვიფიქროთ, და საზოგადოება უკიდურეს მდგომარეობაში ჩავაგდოთ. ამ ახალ წესებით აფთიაქის მეპატრონენი არაფერს კარგავენ, მხოლოდ საზოგადოებას კი უკიდურეს მდგომარეობაში ვაგდებთ.

უკმაყოფილება უკვე ისმის ასეთი წესების წინააღმდეგ და ჩვენის აზრით სამართლიანი უკმაყოფილებაა. და ვაი თუ საზოგადოების უკმაყოფილებით ისარგებლონ აფთიაქის მეპატრონეებმა და ფარმაცევტების სხვა კანონიერ მოთხოვნებს ფრთა შეაკვეცონ.

ჩვენ საზოგადოებისათვის და არა საზოგადოება ჩვენთვის. **№.**

კლუბები გაფიცვის წინააღმდეგ და პროვოკატორთა როლში.

კლუბის ბატონები ვერ შერიგებიან იმ გარემოებას, რომ მოსამსახურენმა მათ მოთხოვნილებები წარუდგინეს. ბურჟუაზიული პრესა მათ მფარველათ უსაბუთოთ გაფიცულთა წინააღმდეგ, ილაშქრებს. ათავსებს არა სწორ ცნობებს და გამოდის პროვოკატორთა როლში. ამბობს: მოსამსახურენი 800—1000 მანეთს იღებენ, და კიდევ არ კმაყოფილდებიანო. მოსამსახურენი კი მეტს არ მოითხოვენ და დაჯერდებიან ერთ მეოთხედს—[illegible] იმისას, რასაც ეს ბ.ბ. სწერენ. საიდან იღებს ეს ცხრილი, ეს კი ალაჰმა უწყს. ჩვენ კი მათვე წიგნის მიხედვით შეგვიძლიან ვსთქვათ სინამდვილე, რომ რიცხვის მიხედვით პროც. უდრის არა უმეტეს 100—110 მანეთისა, ისინი კი სინამდვილეს გვერდს უხვევენ, ცდილობენ ხალხს თვალი აუხვიონ და ამით დაამარცხონ გაფიცვა. რაშია საქმე, რა არის მიზეზი გაფიცვისა? მეოთხე თვეა, რაც მოსამსახურენმა მოთხოვნილება წარუდგინეს. პროფეს. კავშირმა მოსთხოვა, რომ საქმე მშვიდობიანათ გათავებულიყო, მაგრამ იმათ არავითარი ყურადღება არ მიაქციეს, რის შემდეგ საქმე გადაეცა მუშათა საბჭოს, იმათაც ოთხჯერ მოიწვიეს, მაგრამ ვერ მოარიგეს. უკანასკნელად კი აღმასრულებელმა კომიტეტმაც (исполнительн. ком.) მაგრამ იქ არ იკადრეს მოსვლა. რაშია დავა? შედარებით სხვა ქალაქებზე მოთხოვნილება მეტად მცირედია; პროცენტები როგორც იყო 15 პროც. ისეთივე დარჩა, მხოლოდ ლოტოს იყო 5 პროც. და საჩუქარი წიგნებზე, რაც აღემატება 5 პროც., ეხლა კი მოსამსახურენი ითხოვენ მოიხსნას საჩუქარი და მიეცეს 10 პროცენტი, მეორეთ კი სადაც ნათქვამია, რომ მიღება და დათხოვა მოსამსახურის არ ხდებოდეს პროფეს. კავშირის ნებადაურთველად; აი ეს ორი მუხლი, რამაც გამოიწვია გაფიცვა. პროფ. კავშირი მათ იწვევდა და იწვევს სასამართლოში ადგილობრივ მომრიგებელ კამერაში, ცენტრალურ კამერაში და სხვა, მაგრამ ისინი არ გვეთანხმებიან. ისინი ბურუსში ახვევენ საკითხებს და შეცდომაში ცდილობენ შეიყვანონ მოქალაქენი. ვიმეორებ კავშირისაგან ყოველივე ზომები იქნა მიღებული მშვიდობიანათ ჩვეულებრივ საქმე, რის მოწამენი ყველა დაწესებულებები არის, მაგრამ ეს არ მოხდა და მივმართეთ იმ საზომს, რის მოწამენი ეხლა ვართ.

[illegible] ჯამაგირებზე. განა ამის საწინააღმდეგო ვინმეს აქვს რამე. მაშ ამ მხრით დავიწყოთ საქმის კეთება და არა ლაპარა-

კი. ჩვენ მოსახერხლად ვართ ჯამაგირისა, ვიმეორებთ, თუ ისინი ამაზედაც არ დაგვთანხმდებიან, ვიდრე იმ მხრით მომრიგებელ კამერას. უნდა აღვნიშნო, რომ ცუდი პრესის სილაჩრე: „თფილისკი ლისტოკ“ ვერ შეივედრა [illegible] თავისუფლებას, ხელს მისამსახურეს კი სცემს „ლიქის“ ფრთებს და ამავე დროს „ლიქი“ მასთან თანასწორი მოქალაქეა. მოსამსახურენი მუშაობენ 4—6 ს.

ჯერ ყველამ კარგათ იციან, რომ კლუბები არსებობას იწყებენ 8 საათზე და თავდება 3 საათზე. მე ვფიქრობ და აშკარაა, როცა კლუბებში შედიან ყოველივე თავის ალაგას არის დამზადებული და როცა გამოდიან მერმე ალაგება საჭიროა. უნდა ვიფიქროთ, რომ ამას ბ.ბ. დუმბაძეები და შამოვები არ ეკითხებიან, არამედ მოსამსახურენი. ნათქვამიდან ნათელია, რომ მოსამსახურენი მოდიან 7 საათზე და მიდიან არა ნაკლებ 4 საათზე. ეს კი უდრის ცხრა საათს და არა 4 საათ. გამოკლებით კიდევ მორიგეობისა, რომელიც მთელი დღე და ღამე უნდა იყოს.

„На приглашеніе Совѣта Союза Клубовъ явиться на работу хоть „вдень просвѣщенія Кавказской Арміи“ официанты отвѣтили категорическимъ отказомъ, но разсудивъ что своимъ отказомъ они могутъ помѣшать успѣху этого дня и вызвать не удовольствія солдатскихъ организацій“ განა ეს არის საშინელი ცილის წამება პროვოკაციისა და მერეთ სამ წელი პროვოკაცია? ამას მოითხოვს ავტორიბა ან თავმჯდომარემ კლუბების კავშირისა სად იყო, რომ კავშირმა მიმართა ამ ვერ მოწოდებით და ან როდის იყო ფარი?! პროფ. კავშირს მიმართავ წარმომადგენელმა კრემლის ორგანიზაციის, რომლებმაც სრული თანხმობა მიიღეს და მოსამსახურეებმაც იმ დღის შემოსავალი გადასცეს იმათ სასარგებლოთ. 7 საათზე ყველანი თავის ალაგას იდგნენ, მაგრამ არ იყვნენ დაშვებულნი კლუბის მამასახლისების მიერ. ამას დაამოწმებს თვით თავმჯდომარე მათივე კავშირისა. ყოველივე მოქალაქის ვალდებულებაა ვისთვისაც წესიერი მოძღვრება საყვარელია, სინამდვილეს არ უღალატოს და ამით ხელი არ შეუწყოს გაფუცვას. უკეთუ რომელიმე სინამდვილეს გვერდს აუხვევს, წესიერ მიმართულებას უღალატებს იმათი სია იქნება გამოქვეყნებული გაზეთის ფურცლებზე. მოუწოდებ ყველას ცალ მხრივ ნუ დაიჯერებენ, სინამდვილე ილაპარაკოს, დასაჯონ დასასჯელი და არ გადაყენობონ წესიერ მოთხოვნილებას და გაფუცვას.

გამგეობა პროფ. კავშირის.

სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში

ტფილისი.

(მეორე რაიონის კოლექტივის კრება).

ამხ. გაჩეჩილაძემ მოახსენა კრებას. „ერთობის ფუნდში“, არტემ ნადიროვის სახლში, იყო გახსნილი სოც.-დემოკ. კლუბი. სახლის პატრონმა ნადიროვმა სცადა როგორმე სახლი განთავისუფლებოდა. ბევრ საშუალებას მიმართა, მაგრამ დარწმუნდა, რომ ყოველივე ცდა ამაო იყო. ამიტომ ერთ დღეს, თავის აგენტებით გაეშურა კლუბისაკენ, გასტეხა დაკეტილი კარები და გადაყარა ქუჩაში მთელი კლუბის მოწყობილობა და ჩვენი დროშები. შემდეგ დაკეტა სახლი და გაუდგა გზას.

ამის შესახებ კოლექტივმა იქონია მსჯელობა და დაადგინა: არტემ ნადიროვმა თავისი მოქმედებით შეურაცხყო სოც.-დემოკ. პარტია, ამიტომ უცხადებთ მას გულის-წყრომას. ეს კითხვა გაირჩეს საერთო კრებაზე. ეცნობოს ეს ამბავი მუშათა და სალდათთა საბჭოს და ეხვეწოს მას კოლექტივის სახელით დასაჯოს ა. ნადიროვი.

მდივანი.

სად. აჯიკაბული.

23 ივნისს აქ მოხდა კრება აჯიკაბულის რაიონის ს.-დ. პარტიის წევრებისა მუდმივი კოლექტივის ასარჩევად. კრების თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ამხ. გ. ებრალიძე, როგორც გამოირკვა, ამას წინათ ბაქოდან მოუწვევიათ ამხ. მაღლაროვი, მიტინგი გაუმართავთ და იქვე ჩაუწერიათ სამასამდე წევრი. მაგრამ უმეტესობა ისეთები ჩაწერილან, რომ წარმოდგენა არ ჰქონიათ ს.-დ. პარტიაზე. ამიტომ ის ორგანიზაცია დაირღვა. ამის შემდეგ აქაური ძველ მოღვაწეების ინიციატივით მოეწყობილა ახალი ორგანიზაცია. 23 ივნისს სამუდამოთ ჩაეყარა საძირკველი აქაურ ორგანიზაციას. იქვე კრებაზე ჩაეწერა წევრები და შემოვიდა საწევრო გადასახადი. წევრების რიცხვი უდრიდა 62 აჯიკაბულის რაიონში ითვლება 3000 მდე მუშა და მოსამსახურეებს გარეშე, ეს დიდი რაიონია, და [illegible] ორგანიზაციამ, რომლის რაიონს წარმოადგენს აჯიკაბული, მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს მას. ჩვენ კარგათ ვიცით აჯიკაბულში რეაქციის დროსაც არსებობდა ორგანიზაცია, და შემდეგ დაინგრა იმიტომ, რომ მას ყურადღება არ მიაქციეს და ის მოწინავე ამხანაგები, რომლებიც ორგანიზაციას ხელს უწყობდნენ, იქიდან გადაყვანილ იქნენ. აი სწორეთ ამ მხრივ უნდა მიექცეს მას ყურადღება. კრებაზე დაწვრილებით განმარტებულ იქნა, როგორ უნდა მოეწყოს ორგანიზაცია, როგორ უნდა ვიმუშაოთ, რას წარმოადგენს ჩვენი პარტია და სხვა. დადგენილ იქნა აირჩიონ კომისიები: 1) ფინანსიური, 2) ლიტერატურული და სალექციო. უნდა მოეწყოს წრეები, გამოიწერონ პარტიული ლიტერატურა, პარტიული ორგანოები, ფართოთ მოეწყოს ლექციების კითხვა და სხვ. დაქირავებულ იქნას ბინა, სადაც მოთავსდება პარტიული ბიბლიოთეკა და ბიურო, წევრების მისაღებათ. შემდეგ არჩეულ იქმნა მუდმივი კოლექტივი ცხრა კაცისაგან: 1) გაგიბერია (თავმჯდ.), 2) ეგლ. გაგანიძე (თავმჯდ. ამხ.), 3) თოდრია (მდ.) 4) ფერულავა (ხაზინადარ.), 5) რურუა, 6) აგანეზოვი, 7) ციფროვი, 8) ფუტკარაძე და 9) კალინიჩენკო.

კანდიდატებათ: 1) დავითულიანი, 2) ნაზარბეგოვი, 3) მესხიშვილი, 4) სულაბერიძე და 5) მანჯგალაძე.

[illegible]

სად. ეჩემანი.

ერთი თვეა, რაც აქ დაარსდა ერევნის სოც. დემოკ. ორგანიზაციის კოლექტივი. ამ ხნის განმავლობაში კოლექტივს ბევრი არაფერი გაუკეთებია. რადგან გულცივათ მუშაობს.

საქალაქო არჩევნები სადაცაა დაიწყება, ამ არჩევნებში, ქალაქის დემოკრატიის წარმომადგენლების დასწრებით, სადგურის რაიონსაც, რომელიც ქალაქზე დაშორებულია, უფლება მიეცა მონაწილეობა მიიღოს. ამიტომ სადგურის კოლექტივს მეტი მუშაობა მართებს, რომ დემოკრატიული ნაწილი არ დარჩეს უყურადღებოთ.

ნ. მაკაშვილი.

მუშათა ცხოვრება

ზოგი რამ ფოსტა-ტელეგრაფში მომუშავეების მდგომარეობის შესახებ. არ შეიძლება ითქვას, რომ თფილისის ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეების მდგომარეობა მაინც და მაინც კარგი იყოს. ბევრით მაგალითად ტელეგრაფისტები, ამათ, აუწერელ პირობებში უხდებათ მუშაობა, დღემისამ რომ ჩაუკვირდეს მათ მდგომარეობას, პირდაპირ განცვიფრებაში შედის. ჯერ ერთი, რომ ყოველ მესამე დღეს უხდებათ ღამით მორიგეობა, რაც მათ ჯანმრთელობას დიდ ზიანს აყენებს. მეორე ისეთს ოთახში უხდებათ მუშაობა, სადაც ვენტილიაცია სრულებით არ არის; ამიტომ ხალხს მთელი დღის განმავლობაში ერთ ოთახში ახუშებენ. მათი დასასვენებელი ოთახებიც ანტი-სანიტარულ მდგომარეობაშია. ქალების ოთახებიც ასეთ მდგომარეობაშია. თაგვები და ცირიხები დასეირნობენ შიგ. ერთმა ტელეგრაფისტკამ მიამბო: როცა გამოვიღვიძე, მაღლიდან ქვეშ რამდენიმე თაგვი ვნახეო. საერთოდ ტელეგრაფისტების მუშაობა ძალიან ძნელია, ამის გამო ავათმყოფდებიან ხშირათ. თითრაძის ქალი დაავადმყოფდა, ის დაითხოვეს და ეს უბედურება მან ვერ აიტანა და მტკვარში დაიხრჩო. საჭიროა მათი მდგომარეობა გაუმჯობესდეს. ღამით მესამე მორიგეობა უნდა მოისპოს. და უნდა დაწესდეს მეხუთე ან და მეექვსე დღის მორიგეობა, უნდა ადამიანურ პირობებში ჩააყენონ ისინი. საჭიროა მათი ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესება.

ხუდი ობოლი.

რევოლიუცია პროვინციაში

ახალ-სენაკი (სამეგრელო). 20 ივნისს სენაკის მაზრის მასწავლებელთათვის კურსების მომწყობ ბიურომ გამოიტანა შემდეგი დადგენილებები: კურსების საჭიროება: 1) განყოფილების ყველა წევრმა შემოიტანოს საწევრო გადასახადი 1916—17 წ. წ., ან ვინც ჯერ ჩაუწერელი მასწავლებელი, ვინც კიდევ არ ირიცხება წევრათ. ამის სასარგებლოთ მიეყენა მიენდოს ფილიალურ განყოფილების გამგეობას.

გამოეთხოვოს ერთდროული დახმარება ქ. შ. წ.-კ. გ. საზ. სენაკის განყოფილებას, სენაკის საქალაქო კლუბს, მასწავლებელთა კავშირის მთავარ გამგეობას, სახ. სკ. ინსპექციას და ფინანსიური სასკოლო საბჭოს, სენაკის მაზრის მომხმარებელ საზოგადოებათა და [illegible] კრედიტო ამხანაგობებს, სენაკის ურთ-ერთობის ბანკს, სენაკის საქველმოქმედო საზოგადოებას, დრამატიულ საზოგადოებას;

შეგროვდეს შეწირულება ახალ-სენაკში, აბაშაში, ძველ-სენაკში, [illegible], ბანძაში და სხვ.;

წინადადება მიეცეს დაწყებითი სკოლების პედ. საბჭოებს ადგილობრივ შეაგროვონ შეწირულებანი კურსების შესახებ;

გაიმართოს კურსების სასარგებლოთ სისტემატიური წარმოდგენები ახალ სენაკსა და აბაშაში კურსების დაწყებამდის და დაწყების შემდეგაც;

იმ მასწავლებლებმა, რომელნიც არ დაესწრებიან კურსებს სწავლის მისაღებით, ეთხოვთ [illegible] კურსებს ნივთიერი დახმარება.

ბინა. 1) კურსების აუდიტორიად მიეთვისოს ახალ სენაკის საშუალო სასწავლებლის სკოლის დარბაზში, ხოლო საცხოვრებელი ბინა მოეწყოს სასწავლებელი 4 კლ. სასწავლებელში, ან უმაღლეს დაწ. სკოლის დარბაზში;

2) ქვეშაგები უნდა მოიტანოს თვით მასწავლებელმა;

სახაზინოდან, მზარეულს, ჩაი, შაქარი, პური (ბარაქლის და სიმინდის) მასწავლებელი მიიღებს უფასოთ, თუ შეს ძალებში იქნა, [illegible].

ლექტორების მოწვევა მიენდოს განყოფილების გამგეობას.

ვასილ ქობულია.

—

სოფ. ჯავა. (გორის მაზრა). 6 ივნისს მოხდა დიდი ყრილობა. გაირჩა: მღვდლების, სკოლების, ტყის, მიწის, გზების, ქალაქების და ურადნიკის შესახებ საკითხები. თავმჯდომარედ არჩეული იყო ერისთავი ინჟინერი ანდრია გოგლიძე. ყრილობას დაესწრო დელეგატები ქ.ნის ხეობიდან, ზემო ქართლის ოსეთიდან, რაჭვლის საზოგადოებიდან, ყეშელთიდან და სხვა ყრილობას დაესწრენ სოც.-დემოკ. და სოც.-ფედ. პარტიების წარმომადგენლები. გლეხებმა სოც.-დემოკრატიულ პარტიის წარმომადგენლის სიტყვა უფრო მოიწონათ და ერთსულოვნად მას მიემხრო. ეს, რასაკვირველია, არ ესიამოვნათ ს. რევოლიუციონერებს და ერთი აყალმაყალი ასტეხეს.

ხოონ.

—

[illegible]. (ქუთაისის მაზრა). გამოცხადდა თუ არა რევოლიუცია, [illegible] კომიტეტის არჩევნებზე გამოცხადდენ ბნელეთის მოციქულები, რომლებსაც თვითმპყრობლობის დაცემასთან ხელიდან ეცლებოდათ თბილი ადგილები და მათ ხულიგნური მოქმედებასაც ბოლო ეღებოდა და მუქარით და იარაღით ხელში მოინდომეს ახალ-არჩეულ კომიტეტში შესვლა. მათმა მუქარამ გასჭრა. შეშინებულმა ხალხმა ისინი აირჩია. შემდეგ ამისა როცა დეზერტირები შეგროვდენ აქ წაახვედრებათ დაადგინეს: მანამ არ წავალთ ჯარში, სანამ კომიტეტს არ გადაავყენებდენ. ითქვეს და აასრულეს კიდეც. კომიტეტი გადააყენეს. კომიტეტის წევრათ ყოფნის დროს ყოფილმა სოფლის მწერალმა ბაბურკა ალექსიშვილმა მოკლა ისიდორე თვალაბეიშვილი, რომელსაც დარჩა სამი შვილი და ცოლი. მეორე ძმა კირილე კი სასიკვდილოთ დასჭრა ამავე ვაგონში. მეორე წევრმა ფილიმონ ალექსიშვილმა რევოლვერი ესროლა პატარა ბედენაშვილს (12 წლის ფიან მოკლული ძმა) ამ ორმა მოტყუებულს ქუთაისის კომიტეტი. გამოძიებაც ბექედი საპატიოს კომიტეტის სახელზე, გააკეთეს ბოქაულის და მოითხოვეს თოფები, ვითომც მათ ყაჩაღები დევნიან. ქუთაისის კომიტეტმა მისცა 5 ვინტოვკა, მაგრამ შემდეგ, როცა ეს გაიგო სამტრედიის კომიტეტმა ჩამოართვა მათ. ამ ვაჟბატონებზე არა ერთი და ორი ბრალდება წამოაყენებია მ. საპატიოსნოს გაზეთის ფურცლებზე, მაგრამ მათ ხმა არ ამოუღიათ. სოფელმა მათ ზიზღი გამოუცხადა.

ხაჩინოველი დევნილი.

პროვინციის ცხოვრება.

ბათუმი. 18 ივნისს, რელიგიური თეატრში მოხდა წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების ადგილობრივი განყოფილების წევრთა წლიური კრება. განხილული იყო შემდეგი საკითხები: ახალი წევრების მიღება, 1916 წლის ანგარიშის განხილვა, 1917 წლის ხარჯთაღრიცხვა, მიმდინარე კითხვები და არჩევნები.

თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ს. წერეთელი, მდივნათ ა. ინწკირველი. გამგეობის 1916 წლის მოქმედების შესახებ მოხსენება გააკეთა ა. ინწკირველმა. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ გამგეობას ბევრი შრომა და ენერგია დაუხარჯავს საზოგადოების სასურველ ნიადაგზე დასაყენებლათ. გარდა ქართული სკოლისა, რომელზეც წ. კ. გ. საზოგადოების ადგილობრივი განყოფილება ზრუნავს, გამგეობას განუზრახავს გაეხსნა, მუშათა უბნებში წიგნსაცავ-სამკითხველოების დაარსება, მაგრამ სხვადასხვა დაბრკოლებების გამო ჯერ-ჯერობით გამგეობას გაუხსნია წიგნთსაცავ-სამკითხველო ბარცხანაში. გამგეობას აგრეთვე ბევრი შრომა გაუწევია სამეურნეო სკოლის დასაარსებლათ, მაგრამ შენობის უქონლობას შეუშლია ხელი, მით უმეტეს, რომ დღესაც ქართული სკოლის შენობა ქალაქის საავადმყოფოს უჭირავს (ქართული სკოლა კი ნაქირავებ სახლშია) და ჩვენი ქალაქის მამებს, რომლების უმრავლესობას ქართველები შეადგენენ და რომლებიც წამდაუწუმ მამულიშვილობაზე გაჰკივიან, ერთხელ თავიც არ შეუწუხებიათ, რომ ერთხელ ერთი ქართული სკოლის შენობა დაებრუნებინათ თავის სკოლას. ასეთი დამოკიდებულება ქართულ სკოლასთან მიუტევებელ ცოდვათ უნდა ჩაითვალოს ჩვენი მამებისათვის, რაიცა მათი მამულიშვილობის დამახასიათებელია.

რაც შეეხება საზოგადოების ნივთიერ მდგომარეობას, ამ მხრით გამგეობას მართლაც რომ სასურველ ნიადაგზე დაუყენებია ის და მისი არსებობა ორი სამი წლით ნივთიერათ უზრუნველყოფილია. 1916 წლის საერთო შემოსავალი უდრის 20886 მ. 41 კ. გასავალი 3451 მ. 93 კ. 1 იანვარს 1917 წ. დარჩა კასაში 17434 მ. 48 კ.

საზოგადო კრებამ გამგეობას ასეთი ზრუნვისათვის მადლობა გამოუცხადა. შემდეგ კრება გადავიდა 1917 წლის საგარაუდო ხარჯთ-აღრიცხვაზე. გამგეობის მიერ წარდგენილი ხარჯთ აღრიცხვა სავსებით იქნა თითქმის შეუცვლელი და დადგენილ იქნა მიეცეს ქურიის მასწავლებელს ალ. მ—ძეს, რომელმაც 31 წელიწადი ამ სკოლას ემსახურება, წლიურათ 3 000 მან. და ბინა. დანარჩენ ორ მასწავლებელს 2.000 მან. თითოს. სკოლის დარაჯს 90 მ. და ბინა. მაჰმადიანი სჯულის მასწავლებელს 50 მ. თვეში, სამღთო სჯულის მასწავლებელს 15 მ. თვეში (კვირაში ერთი გაკვეთილი უწევს). მიმდინარე კითხვები და არჩევნები გადაიდო შემდეგი კრებისთვის.

ა. დვაბზუელი.

—

დ. ნაგომარი. (გურია). 18 ივნისს, მოხდა ნაგომრის მომხმარებელი საზოგადოების „პური არსებისა“ წევრთა კრება. 170 წევრიდან კრებაზე გამოცხადდა 48 წევრი. კრებამ განიხილა საფართლო დუქნის გახსნის შესახებ საკითხი. დიდი კამათის შემდეგ კრებამ დაადგინა იქნას შემოტანილი დამატებითი ახალი საპაიო და საწევრო ფული 11 მ. თითოეულ წევრიდან და კიდევ გამგეობამ ბილის ახალი სეზონი და ახლო მომავალში დაჩქარებით იქნას გახსნილი საფართლო.

კარგი იქნებოდა გამგეობას სასურსათო საქმე მოეწესრიგებინა კარგათ, და მერმეთ საფართლოს გახსნაზე ეზრუნა.

დეზერტირების ჯარში გასვლა ჯერ კიდევ არ დასრულებულა და არხეინათ დასეირნობენ სოფლებში, კარგი იქნებოდა ადგილობრივ აღმასრულებელი კომიტეტი ზომებს მიიღებდეს დეზერტირების წინააღმდეგ.

ჯარისკაცი სიმონ მათითაიშვილი.

—

ს. ჯოლევი (სენაკის მაზრა). ამ წლის 20 აპრილიდან მღვდელი ევგენი და მასწავლებელი კონსტანტინე ყურაშვილების ინიციატორობით აქ დაარსდა მომხმარებელი საზოგადოება „მომავალი“. საზოგადოებას საკუთარი შენობა აქვს. დამაარსებლებმა დიდი შრომა და ენერგია დახარჯეს საზოგადოების მოსაწყობათ და ეხლაც უსასყიდლოთ განაგრძობენ მუშაობას. მთელი სოფელი ნდობის თვალით უყურებს ამ საზოგადოებას და მასზე დიდ იმედს ამყარებს. სურვილი დაიბადა წიგნთსაცავ-სამკითხველოს გახსნის და ბ-ნი ყურაშვილებიც შეუდგნენ ამ ფრიად სიმპატიურ დაწესებულების დაარსებას.

მოსწავლე აპოლონ ხვითარია.

—

ს. გუგუნაყათი. ს. გუგუნაყათი არის პატარა სოფელი. მდებარეობს სამტრედიის ახლო, ს. საჯავახოს მეზობლათ. ამ პატარა სოფელში 24 მარტამდის წვრილი კერძო მოვაჭრეები იყვნენ, რომელთაც ორი პატარა დუქანი ჰქონდათ. ხალხი სიამოვნებით ამ დუქნის წინ იკრიბებოდა. იმართებოდა აქ ღვინის სმა. 24 მარტს კი აქ დაარსდა კოოპერატივი. ჯერ უმნიშვნელო იყო, მაგრამ მალე დიდი მოიკრიფა და მოვაჭრეებმაც დაუთმეს ადგილი. რაც დრო გადის კოოპერატივი ძლიერდება.

ჩამოსული ფრანგი.

—

სოფ. მარტყოფი. 28 მაისს წვრ. კრედიტის არა-ჩვეულებრივ კრებას დაესწრო 200 ამხანაგი. თავმჯდომარეთ არჩეულ წვრ. კრედიტის ინსპექტორი დ. ჩხეიძე. კრებამ შეისმინა ბერიშვილის და დ. ხიმშიაშვილის მოღვაწეობას. ზოგიერთმა პირველ კრებაზე გამოსთქვეს ის აზრი, რომ ესენი უნდა გამოირიცხონ ამხანაგობიდანაო. კრებამ დაწვრილებით განიხილა ყველაფერი და შემდეგი დადგენილება გამოიტანა. კრება სცნობს, რომ ანტონ ბერიშვილის და ლომ. ხიმშიაშვილის მოღვაწეობა სასარგებლოა და უარყოფს ამიტომ სთხოვს მათ დარჩნენ თავიანთ ადგილზე და განაგრძონ მუშაობა.

მარტყოფელი გლეხი.

—

დ. ახალ-სენაკი (სამეგრელო). ცხრა ივნისის სენაკის მაზრის მასწავლებელთა კრების (იხ. „ერთობა“ № 77) გაგრძელება მოხდა 17 ივნისს ნორმალურ სკოლის დარბაზში. დაესწრო 50 მდე მასწავლებელი. კრებამ ხმის უმეტესობით დაადგინა კურსებიც გაიხსნას ახალ-სენაკში. ამხ. ვ. ქობულიას წინადადებით კრება კურსებისათვის არჩევს შვიდი წევრისაგან შემდგარ საორგანიზაციო ბიუროს. ბიუროს ევალება კურსების ხარჯთ-აღრიცხვის შედგენა, საშუალების გამოძებნა, ბინისა და ლექტორების საკითხი, კურსებზე დასწრების მსურველ მასწავლებელთა სიის შედგენა. ყველა ეს მასალა ბიურომ უნდა წარუდგინოს მომავალ კრებას, რომელიც დანიშნულია ახალ სენაკში 3 ივლისს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრებამ ხანგრძლივი კამათის შემდეგ უარჰყო დასავლეთ საქართ. მას-თა კავშირის მთავარი გამგეობის [illegible] მიღებულ მასწავლებელთა გადარჩევის [illegible], როგორც უნებლიეთ მასწავლებელთა წინააღმდეგ მცხოვრებითა [illegible]. მან პრინციპიალურად მხარი დაუჭირა ყრილობის დადგენილებას, მაგრამ სხვადასხვა მოსაზრების გამო მასწავლებელნი ალიარა თავიანთ ადგილზე დატოვებულად და ეს საკითხი მოიხსნა კრების წესრიგიდან. ამასთანავე აღნიშნა, რომ არასაიმედო მასწავლებელნი თავისთავად განდევნილნი იქნებიან რევოლიუციონურ მთავრობის მიერ, პედაგოგიურის მხრით კი თითქმის ყველა მასწავლებელი მოუმზადებელი არის განახლებულ სკოლისათვის და ამ მხრით მათი დატოვება ჯერ ნაადრევია.

სარაიონო ინსპექტორის არჩევის დროს დანიშვნა გადიდვა მომავალ 3 ივლისის კრებისათვის.

გაზეთის სასარგებლოთ.

მივიღეთ ლუკა დავითაიასაგან 20 მ. ამაში 10 მ. „ერთობას“, 5 მ. „ბორბალს“, 5 მ. „პაიკარს“.

—

მივიღეთ ნ. რუხაძისგან თამარა ზენაიშვილის სახსოვრათ 15 მ. 5 მ. „ერთობას“, 5 მ. „ბორბალს“, 5 მ. „პაიკარს“.

—

სტამბის ფონდათ მივიღეთ ივანე შუაქიძისგან 5 მ., ლუკა ცლაბაქიძისგან 5 მან.

—

გაზ. ფონდისთვის—ფოთის პოზიც. ბატარეის ქართველ ჯარისკაცებში შეგროვილი ესე ნიკოლაიშვილის მიერ 5 მან.

წერილები რედაქციის მიმართ.

ოზურგეთის სოც.-ფედ. ორგანიზაციას.

განცვიფრებული ვარ, რომ ხმოსნების კანდიდატების სიაში მეც შეგიტანივართ. პროტესტს ვაცხადებ ამის გამო. რადგანაც მოითხოვეთ, შემკითხვლობით, მე ხომ ს. დ. პარტიის წევრი ვარ. თქვენი ყურადღება მე ნდობის მოვარდნას ხალხში. ვაცხადებ რა პროტესტს წინადადებას გთხოვთ ამომრიცხოთ თქვენს სიიდგან.

ვარლამ გორდელაძე.

შტაბს-კაპიტანმა ივანე ვასილის ძე სვანაძემ სოფელში დაარსა სამკითხველო, რისთვისაც მცხოვრებნი დიდ მადლობას სწირავენ მას.

კონსტანტინე ხვანაძე.

მადლობას უცხადებთ ყველა იმათ, ვინც სამიქაოს სამკითხველოს შემოსწირეს თავიანთი წვლილი.

ს. ჯანუაშვილი.

ცნობები

ჯარის კაცების შესახებ.

სიმონ ანდრიას ძე ძამანაშვილი მსახურობდა კავკასიის მოხალისე ჯარში მე-17 მსროლელთა პოლკში მე-14 როტაში. ვთხოვთ, ვინმემ იცის რამე მის შესახებ გვაცნობოს. Тифлисъ Бассейная ул. № 10. Мих. Дзаманашвили.

— ჯ.-ქ. ტრიფონ ჯაღულ ძე ჩაჩავა მსახურებდა მე-2 კავკ. „ვოლნო დოროჟნი“ რაზმში მე-2 როტის 1 ვზვოდში. ვთხოვ ყველას, ვინც რამე იცის მის შესახებ მაცნობოს. ст. Михайлово, конд. Ильѣ Чачава.

— ჯარისკაცი პიმენი ბასილის ძე ფარცვანია მსახურობდა მე-223 ზ. პ. სნოი პოლკში, თუ ვინმემ რამე იცის მის შესახებ გვაცნობოთ. Тифлисъ штабная гостиница „Франція“. Михаилу Джанашвили.

რედ.-გამომცემელი ვლ. მ. ბოხოხაძე.

გამოვიდა საკოოპერაციო ბიბლიოთეკის № 11

„50 წლიწადი სამომხმარებლო კოოპერაციისა რუსეთში“,

მ. ლ. ხეისინისა, თარგმანი ი. გ—ძისა.

შეიცავს 84 გვ. ფასი 2 აბაზი. კოოპერატივებს და წიგნის მაღაზიებს ეთმობა 20—25% დაკლებით ხოლოდ არა ნაკლებ 25 ცალისა.

მისამართი: Кутаисъ. Редакція журнала „Кооперація“.

„ქართველ [illegible] შეიძლება კოოპერატივებისა და მათი კავშირების დასაარსებლად საჭირო სანიმუშო წესდებათა გამოწერა. 10—9

გრძელდება ხელის მოწერა 1917 წლისათვის გაზეთ

ერთობა-ზე.

გაზეთი ღირს როგორც თფილისში, ისე პროვინციაში მთელი წლით 20 მანეთი, ნახევარი წლით 11 მან., სამი თვით 6 მან., ერთი თვით 2 მან.

გაზეთის ფასი ხელის მომწერლებმა წინდაწინ უნდა გადაიხადონ, წინაათ არავის გაეგზავნება.

ფოსტით ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: ТИФЛИСЪ, ПОЧТОВЫЙ ЯЩИКЪ № 199, ВЛАСІЮ МАЛАКІЕВИЧУ БОХОХАДЗЕ.

თფილისის ხელის მომწერლებმა ფული უნდა შეიტანონ კანტორა „განათლებაში“ ოლღას ქუჩა, № 6.

1-ლი თფ. ინტერნაციონალური შრომის არტელი

1) იღებს ყოველგვარ [illegible]: სახარატო-მექანიკურ სალესრო-საწყალსადენო, სპილენძისა, ცინკისა და ფუნჯის სამუშევრებს.

2) იღებს თავის-თავზე მოწყობას შენობებისა, ხიდურებისა და ხელზინფექციით კამერებისა. ამზადებს სხვა და სხვა სისტემის წყლის სადენ ქვაბებს და ავტომობილის რადიატორებს და ფარნებს, აგრეთვე აწვდის მსურველთ სპეციალისტ ხელოსნებს დღიურათ, როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარეთ.

მისამართი: გოლოვინის ქუჩის ბოლოში, ფელდმინევის ქუჩა № 1. 6—6

სწრაფ-მბეჭდავი სტამბა რუხაძისა გაზეთის შესახვევი № 1.